



„თეოლოგიის განხილვის უკეთესი წამალია სჯობის ყოველგვარი საქმიანობა...“

# სობის მოამბე

№ 26-28 (7036-38)  
17 ნოემბერი, 2010 წელი  
შპს 50 თეთრი



თათბირიდან თათბირამდე

## მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი — მთავარი საღმრთო საზრუნავი

როდესაც მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარესთან სათათბიროდ იკრიბებიან საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციათა თავმჯდომარეები, აპარატის თანამშრომლები და საკრებულოს მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების ხელმძღვანელები, ეს თათბირიდან თათბირამდე გაკეთებული საქმიანობის შესახებ ერთგვარი ანგარიშია.

მუნიციპალიტეტისათვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვან სხვადასხვა საკითხზე მსჯელობა ოპერატიულ თათბირებზე მუდმივადია. წინა შეკრებაზე მიღებული დავალებების შესრულების შესახებ ღია ინფორმაციის წარმოდგენა ყველა საჯარო პირისათვის აუცილებლობას წარმოადგენს. ბოლო თათბირი განსაკუთრებული იყო იმიტომ, რომ მთავარი განსახილველი თემა ძალზე მნიშვნელოვანი იყო - მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტის მიღებისათვის მზადება. 2011 წლისათვის დარგების მიხედვით განვითარების კონცეფციისა და ინოვაციური წინადადებების მომზადება.

საკრებულოს თავმჯდომარემ ბატონმა მამუკა ჭოხონელიძემ შესაბამის სამსახურებს (საკრებულოს საფინანსო-სარევიზო კომისიის თავმჯდომარე ბნ ბორის ჯიქია, შპს „სობის მოამბე“ დირექტორის მოვალეობის შემსრულებელ ქანატო ლომაიას) დაავალა უზრუნველყონ ბიუჯეტის პროექტის საჯაროობა, მისი გამოქვეყნება პრესაში, კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადების დაცვა და ყველა შენიშვნისა და წინადადების დროულად წარმოდგენა განსახილველი საკითხის გარშემო, რადგან ბიუჯეტის ფორმირება არის უმთავრესი საქმე. ხაზგასმით შეახსენა ყველას ბიუჯეტის შედგენისას მოსახლეობის მიერ განსახილველი პრიორიტეტების გათვალისწინებასა და ბიუჯეტის თანხების ზუსტ დაგეგმვასა და მიზნობრივ ხარჯვას.

საკრებულოს თავმჯდომარემ მოინახინა ინფორმაციები: საფინანსო-სარევიზო (ბ. ჯიქია), ეკონომიკური განვითარების საკითხთა (გ. ქაჯაია), იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის (მ. სილოგავა), საპროცედურული საკითხთა (მ. ბუკია) კომისიების თავმჯდომარეებთან ინფორმაციები კვირის განმავლობაში გაწეულ მუშაობაზე და დავალებების შესრულებაზე. სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ქალბატონმა დალი გერგაიამ ისაუბრა შემოსულ კორუპციონერულ-აქტივისტურ საკითხებზე, რომლებიც ეხება შუა ხორგის საჯარო სკოლაში სასმელი წყლის გამოყვანას, სობის N1 და N2 საბავშვო ბაღებში გახანგრძლივებული ჯგუფების გახსნას, აღნიშნა, რომ მიმდინარეობს საკითხების შესწავლა.

საკრებულოს აპარატის უფროსმა (ზ. ბუკია) და საკრებულოს აპარატის იურიდიულ საკითხთა და საქმის წარმოების (ლ. შამათავა) და სპორტის საკითხთა და მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის (თ. ბუკია) განყოფილების უფროსებმა ისაუბრეს აპარატის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ. საკრებულოს თავმჯდომარემ ხაზი გაუსვა საკრებულოს ოფიციალური ვებგვერდის განახლების საქმეში მიღწეულ წარმატებებს და აპარატს დაავალა საზოგადოების საინფორმაციო უზრუნველყოფისა და გამჭვირვალობის მიზნით კიდევ უფრო მეტი ინიციატივების წარმოდგენისაკენ. საკრებულოს აპარატს ასევე დაავალა საკრებულოს კომისიებთან ერთად ჩართვა ბიუჯეტის საჯარო განხილვისათვის საჭირო ღონისძიებების ორგანიზებაში.

კულტურის ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ბატონმა ბეჟან ნადარაიამ ისაუბრა დარგში მიმდინარე რეფორმებზე, ინვესტიციების საკითხებზე, აღნიშნა, რომ შექმნილია ყველა პირობა კულტურულ-შემოქმედებითი ღონისძიებების სათანადო დონეზე ჩასატარებლად.

შპს „სობის მოამბის“ დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ქალბატონმა ნატო ლომაიამ ისაუბრა შპს-ს საგამომცემლო ფუნქციის გაზრდაზე და განმარტა, რომ გაზრთი ამიერიდან განახლებული ფორმატით (ქუდი, ღიზანი) და პერიოდულად გამოვა. იგი ფართოდ გააშუქებს მუნიციპალიტეტის ცხოვრებას.

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ ბატონმა თემურ გულუამ, ფრაქცია „სობი-დემოკრატების“ თავმჯდომარემ ბატონმა მამუკა ქარდავამ და ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა გონა ქაჯაიამ მხარი დაუჭირეს საკრებულოს თავმჯდომარის ინიციატივას ქალაქის განაშენიანების კონცეფციის შემუშავების მიზნით ბიუჯეტში თანხის გაზრდის შესახებ. თათბირზე იმსჯელეს თითქმის ყველა საკითხზე, რაც მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარებას შეეხება. ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს ბატონ გონა ქაჯაიას დაეკავა იმ შენობა-ნაგებობების აღრიცხვა და საპრივატიზაციო დოკუმენტების მომზადება, რომლებზეც არ არსებობს ინფორმაციები. თათბირი დაილოცეს ფორმატით წარმართა. საკრებულოს თავმჯდომარემ სხვადასხვა საკითხზე გამოთქვა თავისი მოსაზრება. შპს „სობი დასუფთავება და განათება“ ხელმძღვანელს (ნ. წოწონავა) დაავალა წარმოადგინოს წინადადება ქალაქის ცენტრში გამწვანების სამუშაოების ჩასატარებლად. სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ქალბატონი მანანა წულეისკირი გააფრთხილა საბავშვო ბაღების კვების პრობლემებით ადგილზე მომარაგების თაობაზე და მიითხოვა დაიწყოს მუნიციპალიტეტის სააღმზრდელო დაწესებულებებში მონიტორინგის ჩატარება.

კულტურის ცენტრის ხელმძღვანელს შესთავაზა წინადადება, რომ ჩატარონ საკვლელო-მედიკალური ღონისძიებები და საზოგადოებას წარუდგინონ შემოქმედებითად საინტერესო ხასიათის კულტურული პროექტები. ახალი შინაარსით დატვირთული თათბირი მისმა მონაწილეებმა მომავალი აქტიური მოქმედების სურვილით დატოვეს.

მერი ლავილიაშვილი

## სობის მუნიციპალიტეტის 2011 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი (პროექტი)

7-18

### წყალდიდობა სობის მუნიციპალიტეტის სოფლებში

ძლიერი წვიმის შედეგად აღიდებულმა სობისწყალმა გაარღვია დამცავი დამბები და დატბორა რაიონის რამდენიმე სოფელი, მათ შორის ყველაზე ძლიერ გურიფული, ქარიატა და შუა ხორგა. ასევე დატბორილი იყო ქ.სობში არსებული მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსი, საავადმყოფოსა და შ.პ.ს. „შარა გზა მშენი პირველის“ მიმდებარე ტერიტორია. მოსახლეობას მნიშვნელოვანი ზარალი მიადგა. მობილიზებულიქნა შესაბამისი სამსახურები, სამხარეო ადმინისტრაცია და ძალოვანი სტრუქტურები. როგორც სობის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ბატონმა ივანე ტყეშელავამ განაცხადა, შექმნილია ზარალის დამთვლელი კომისია.



**ღმეს კი ნამდვილად ვხედავთ ბაკეთებულს**

3-5

**სკოლა „ბრე“ — პრინციპების ერთგული**

„არამა“-ს საკუთარი ბერბი და სასკოლო ფორმა აქვს, რომელიც ჩვენს მოსწავლეებს სხვათაგან განსხვავებს. სკოლის უმთავრესი ამოცანაა შეუქმნას მოსწავლეს პირობები იმ უნარ-ჩვევების განსაკუთრებულად, რომლებიც მთავარი ცხოვრების განხორციელებაში დაეხმარება.

19

**„უდიდესი ნეტარება სხვათათვის სიტომისის უენარჩუნება“**

22

**ქვირეულის ქვე**

„ჩონჯური სქიროვილი, სიმეზი ჩვენ ვაწით ყვილი...“

20-21

**ისტორიული კვლევის სიხსნოვეს**

ხელნაწერი XVIII საუკუნის პირველ ნახევარშია შესრულებული. იგი იმითმ არის მნიშვნელოვანი, რომ ის არის დასავლეთ საქართველოს კათალიკოსის გრიგოლ ლორთქიფანიძის მიერ გაცემული წყალობის სიგელი.

6

## პითხვებს უპასუხებენ საკრებულოს თავმჯდომარე და ბიუროს წევრები

თვითმმართველობის მუშაობაში საზოგადოების აქტიური ჩართვის, აზრის თავისუფლად გამოხატვისა და მედიასთან ურთიერთობის მიზნით, სობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მამუკა ჭოხონელიძის ინიციატივით ყოველი თვის ბოლოს საკრებულოს სხდომათა დარბაზში (მისამართი: ქ. სობი, ცოტნე დადიანის №189) გაიმართება შეხვედრები საზოგადოების, ადგილობრივი და რეგიონალური მედიის წარმომადგენლებთან. საკრებულო ყველა დაინტერესებულ პირს შეხვედრებში მონაწილეობის მისაღებად იწვევს. კითხვებს საკრებულოს თავმჯდომარე და საკრებულოს ბიუროს წევრები უპასუხებენ.

**„ოქროს პერგამენტი 2010“-ის გაბარებას დასრული სობის გახსნა**

4

## გამოინჯრეთ „სობის მოამბე“ ეს თქვენი გახვითია!

### მიხეილ სააკაშვილის მუშაობას გამოკითხულთა 77 პროცენტი დადებითად აფასებს



საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მუშაობას დადებითად 77% აფასებს, ხოლო უარყოფითად - 18%. ამის შესახებ ნათქვამია „IRI“-ს კვლევაში, რომელიც საქართველოში აშშ-ს მთავრობისა და USAI-ს

ირაკლი ალასანია და ირაკლი ოქრუაშვილი 3-3 %-მა; ნინო ბურჯანაძე - 2 %-მა; ზურაბ ნოღაიდელი - 1 %-მა; 12%-ს კი მიაჩნია, რომ ვერც ერთი პოლიტიკური ლიდერი ამას ვერ შეძლებს. ამასთან, კითხვაზე - ვინ მოაგვარებს ყველაზე კარგად უმუშევრობის პრობლემას? გამოკითხულთა 51% მიაჩნია, რომ აღნიშნულ პრობლემას ყველაზე კარგად მოქმედი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მოაგვარებს, ასევე გამოკითხულთა 7% მიაჩნია, რომ ასეთი ადამიანი გიორგი თარგამაძეა, შალვა ნათელაშვილი - 5% და ირაკლი ალასანია - 2%.

შეგახსენებთ, რომ გამოკითხვა საქართველოში 27 სექტემბრიდან 7 ოქტომბრამდე ჩატარდა და მასში მონაწილეობა 1500 ადამიანმა მიიღო. კვლევა აშშ-ს მთავრობისა და USAI -ს შეკვეთით ჩატარდა.

შეკვეთით ჩატარდა. კვლევების მიხედვით, კითხვაზე, ვის შეუძლია საუკეთესოდ მართოს ქვეყანა რუსული აგრესიის შემდეგ, მიხეილ სააკაშვილი 46%-მა დაასახელა; გიორგი თარგამაძე - 6%-მა; შალვა ნათელაშვილი - 4%-მა;

### პოლიტიკური პარტიების რეიტინგში „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ პირველი ადგილი უკავია

პოლიტიკურ პარტიების რეიტინგში „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ კვლავ პირველი ადგილი უკავია. „IRI“-ის მიერ ჩატარებულ კვლევის მიხედვით, კითხვაზე - შემდეგ კვირას რომ არჩევნები იყოს, რომელ პარტიას მისცემდით ხმას? გამოკითხულთა 42% „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ დასახელა, „ქრისტიან-დემოკრატებს“ 11% დაუჭირა მხარი, „ლეიბორისტულ პარტიას“ - 4%-მა და „ჩვენი საქართველო თავისუფალი დემოკრატებს“ - 1%-მა. დანარჩენმა პოლიტიკურმა პარტიებმა ხმების ერთ პროცენტზე ნაკლები მიიღეს. ამასთან, გამოკითხულთა 13% აცხადებს, რომ არცერთ პარტიას არ დაუჭერს მხარს, ხოლო 23% პასუხის გაცემისგან თავი შეიკავა. შეგახსენებთ, რომ გამოკითხვა საქართველოში 27 სექტემბრიდან 7 ოქტომბრამდე ჩატარდა და მასში მონაწილეობა 1500 ადამიანმა მიიღო. კვლევა აშშ-ს მთავრობისა და USAI -ს შეკვეთით ჩატარდა.



„ჯი-პიჩ-პიჩი“

### პერ ეკლუნდი: „კარგია, რომ რუსეთშიც არსებობენ ადამიანები, რომლებიც საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას აღიარებენ“



ევროკავშირის წარმომადგენელი საქართველოში პერ ეკლუნდი მიესალმება იმ ფაქტს, რომ „რუსეთშიც არსებობენ ადამიანები, რომლებიც საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას აღიარებენ“.

ამის შესახებ ეკლუნდმა რუსეთში იმ რუკის გამოცემის კომენტარებისას განაცხადა, რომელშიც აფხ- აზეთი და ცხინვალის რეგიონი საქართველოს ნაწილებად არის დაფიქსირებული. „ევროკავშირი ყოველთვის აღიარებდა და აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. რუკების შესახებ ინფორმაცია მეც შევიტყვევებ და შემიძლია, ვთქვა, რომ ეს ძალიან სასიამოვნო სიახლეა. კარგია, რომ რუსეთშიც არსებობენ ადამიანები, რომლებიც საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას აღიარებენ“, - აცხადებს ეკლუნდი. შეგახსენებთ, რომ უმსხვილესმა რუსულმა გამომცემლობამ - „ოლმა მედიაგრუფმა“ სასწავლო წლის დასაწყისისთვის ფართო გაყიდვაში „მსოფლიოს დიდი უნივერსალური ატლასის“ დიდი ტირაჟი გამოუშვა, რომელშიც აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი ცალკე სახელმწიფოებად გამოყოფილი არ არის და კვლავ საქართველოს შემადგენლობაშია დაფიქსირებული.

ატლასის ანონსირებისას გამომცემლობა წერს, რომ „მსოფლიოს ატლასი იმ მოსწავლეებისთვისაა განკუთვნილი, რომლებსაც განსაკუთრებით გეოგრაფია აინტერესებს და ის გაკვეთილების მომზადების დროს ალბათ, კარგი დამხმარე გახდება“. რუკები შედგენილია და გამოცემისათვის გამზადებულია „ნაციონალური კარტოგრაფიული კორპორაციის“ მიერ. ყოველივე ამით აღშფოთებული რუსეთის საერთო რეგიონალური ახალგაზრდული საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ნოველი დიდი“ დღეს მოსკოვში ნაციონალური კარტოგრაფიული კორპორაციის შენობის შესასვლელთან საპროტესტო მიტინგს ჩაატარებს სლოგანით „ის, რისი გაკვეთებაც იარაღმა ვერ შეძლო, გეოგრაფიულმა რუკებმა გააკეთეს“.

„პირველი“

### ევროპარლამენტმა საქართველოს და ევროკავშირის შორის გამარტივებული სავიზო რეჟიმის გადაწყვეტილება მოიწონა

ევროპარლამენტის თავისუფლების, იუსტიციისა და შინაგან საქმეთა კომიტეტმა 27 ოქტომბრის სხდომაზე საქართველოსა და ევროკავშირის შორის სავიზო რეჟიმის შესახებ 17 ივნისის გადაწყვეტილება მოიწონა. ინფორმაციას სააგენტო „რია ნოვოსტი“ ავრცელებს. სააგენტოს ცნობით, დოკუმენტი პირველ ნომერს ევროპარლამენტის პლენარულ სხდომაზე კენჭისყრაზე გავა. შეთანხმების თანახმად, საქართველოს მოქალაქეებისთვის ვიზის მისაღებად საჭირო განაცხადის წარდგენის საფასური 60-დან 35 ევრომდე შემცირდა.

ამასთან, გადაწყვეტილება ვიზის გაცემასთან დაკავშირებით მიღებული უნდა იყოს განაცხადისა და შესაბამისი დოკუმენტების წარდგენიდან 10 კალენდარულ დღეში. ევროპარლამენტის თავისუფლების, იუსტიციისა და შინაგან საქმეთა კომიტეტმა საქართველო-ევროკავშირის შორის რეადმისიის შესახებ შეთანხმებაც მოიწონა. პირველ ნომერს ბრიუსელში ამ შეთანხმებასაც უყრიან კენჭს.

„ინტერპრესნიუსი“

### მიხეილ სააკაშვილი: საქართველოში ინვესტიციები თავს კომფორტულად გრძობენ

საქართველოში ინვესტიციები თავს კომფორტულად გრძობენ. ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ტელეკომპანია „CNBC“-სთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა. ტელეკომპანიის ეთერში პრეზიდენტი სააკაშვილი მაროკოში მიმდინარე ეკონომიკური ფორუმიდან ჩართო და აღნიშნა, რომ „ქვეყანაში ბევრი ინვესტიორი გვყავს, რომლებიც კომფორტულად გმრნობენ თავს საქართველოში“.

ჩვენი მიზანია, კვლავ ორციფრიან მაჩვენებლებს დაუბრუნდეთ, როგორც კრიზისამდე ვიყავით“, - დასძინა საქართველოს პრეზიდენტმა. ამასთან, სააკაშვილის თქმით, ეკონომიკური ზრდა მთავრობის ეფექტურ მუშაობას უკავშირდება.

„მსოფლიო ბანკის თანახმად ბიზნესის კეთების თავალსაზრისით აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში და პოსტსაბჭოთა სივრცეში ჩვენ პირველ ადგილზე ვართ. საქართველო ამ რეიტინგში მსოფლიოში 147 ადგილზე იყო, ახლა ვართ მე-11 ადგილზე და შემდეგ წლებში იმედი გვაქვს, რომ ტოპ-ათეულშიც შევალთ. „იბიარდის“ თანახმად ჩვენი ქვეყანა ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად კორუპტირებულია“, - აღნიშნა სააკაშვილმა.

„კრიზისმა ჩვენ დაგვზარალა, მაგრამ გაცილებით ნაკლებად, ვიდრე რეგიონის სხვა ქვეყნები. ეს ყველაფერი 90%-ით ინვესტიციების დამსახურებაა. ინვესტიციებისთვის საქართველო არის უსაფრთხო ადგილი, სადაც ხანგრძლივი პერსპექტივა გვაქვს და საქმის კეთებაც ადვილია“, - აღნიშნა სააკაშვილმა.

მისევე თქმით, საქართველო ძალიან მნიშვნელოვანი დამაკავშირებელი უმოკლესი გზა ხდება ჩრდილოეთ ჩინეთს, ცენტრალურ აზიასა და ევროპის უმეტეს ქვეყანას შორის. „საქართველო არ არის დიდი ქვეყანა, მაგრამ ძალიან სტრატეგიულ ადგილზე მდებარეობს. ინვესტიციები აქ შემოდის ინფრასტრუქტურაში, ტურიზმში, ვაჭრობაში, სოფლის მეურნეობაში და სხვა სფეროებში. მთავარი ის არის, რომ წელს საერთაშორისო სავალუტო ფონდის თანახმად ჩვენ ეკონომიკის 6% ზრდა გვაქვს და მომავალ წელს ვიმედოვნებთ, რომ 7,9%-მდე ავალთ, მაგრამ

საქართველოს პრეზიდენტის შეფასებით, მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა ბევრი ქვეყანა იმდენად დაზარალა, რომ დღემდე პრობლემები აქვს, თუმცა არიან ქვეყნები, რომლებიც ამ კრიზისს შედარებით ადვილად გაუმკლავდნენ.

„ასეთ დროს შესაძლებელია პოზიტიური სიგნალის მიღებაც. მაგალითად, ჩვენ გამოვიარეთ ფართომასშტაბიანი საჯარო და ენერჯო ემბარგო ჩვენი მთავარი პარტნიორისგან. ამან გვაძლევდა დაგვეწყო ენერჯის ექსპორტი, მოგვეხდინა ვაჭრობის დივერსიფიცირება და კვლავ განვაგრძოთ ზრდას. ჩვენ გავზარდეთ მთავრობა იმდენად ეფექტური, რომ კვლავ მნიშვნელოვანი ზრდა გვაქვს ქვეყანაში“, - აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს პრეზიდენტი მაროკოში ესწრება საერთაშორისო ეკონომიკურ ფორუმს, სადაც 62 ქვეყნის 1000-ზე მეტი ბიზნესმენი მონაწილეობს.

„ჯი-პიჩ-პიჩი“

### მოსკოვის ახალი მერი ცხინვალს ქონებას უსასყიდლოდ გადასცემს

მოსკოვის ახალი მერი სერგეი სობიანინი „სამხრეთ ოსეთელებისთვის მოსკოვის სახელმწიფო ქონების უსასყიდლოდ გადაცემის“ კანონპროექტით საქალაქო სათათბიროს მიმართავს. ამის შესახებ „ინტერფაქსი“ იუწყება. საუბარია ქალაქ ცხინვალში, მიკრორაიონ „მასკოვსკის“ ობიექტებზე, რომლებიც რუსეთის დედაქალაქის ხელისუფლებამ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ააშენა. კერძოდ - რვა მრავალბინიანი სახლი და 189 ბინა, სადაც თითოეულის ფართობი 200 კვადრატულ მეტრს შეადგენს.

გარდა ამისა, მოსკოვის ხელისუფლება ცხინვალს სკოლასა და ორ საბავშვო ბაღს, საზოგადოებრივი-საჯარო ცენტრსა და გამაჯანსაღებელ კომპლექსს გადასცემს.

საამშენებლო სამუშაოების ღირებულება 2,5 მილიარდი რუბლით შეფასდა.

„ინტერპრესნიუსი“

### ბრიტოლ ვაშაძე დარწმუნებულია, რომ რუსეთი საქართველოსთან მოლაპარაკებებზე წამოვა

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე დარწმუნებულია, რომ რუსეთი საქართველოსთან მოლაპარაკებებზე წამოვა, რადგან მიაჩნია, რომ „დიალოგს ალტერნატივა არ აქვს“.



რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების შესახებ ვაშაძემ ბრიუსელში ვიზიტის დროს შტანდარდ-ისთვის მიცემულ ინტერვიუში ისაუბრა. მას მიაჩნია, რომ „მოსკოვთან ურთიერთობა ამაზე უარესი არ შეიძლება, იყოს“. „სიტუაცია ჩვენთვის ძალიან მტკივნეულია. 500 000 ადამიანი საკუთარ ქვეყანაში დევნილად იქცა. ამასთან, არსებული ვითარება რუსეთისთვისაც უსიამოვნოა. მან საქართველოს გამო მთელ ევროპას პრობლემები შეუქმნა. რუსეთს სურს მსოფლიო საჯარო ორგანიზაციაში გაწევრიანება, თუმცა თავად არღვევს ამ ორგანიზაციის წესებს. მედღევე ევროპას უსაფრთხოებისა და სტაბილურობის ახალი არქიტექტურის შექმნისკენ მოუწოდებს, მაშინ, როდესაც სამხრეთით, საქართველოსთან საპაერო და სარკინიგზო მიმოსვლა დაზარალდა. ერთი რამ ცხადია - საქართველო შებრკობების ღირსია, თუკი რუსეთს სურს კავკასია უფრო უსაფრთხო, დემოკრატიული და განვითარებული იყოს“, - აცხადებს ვაშაძე, რომელიც იმდღეობს, რომ რუსეთთან ურთიერთობების კუთხით პოზიტიური ცვლილებები შესაძლებელია.

„კრემლს სურს დასავლეთს და აღმოსავლეთს შორის შუამავალი იყოს, მაგრამ როგორი შუამავალი უნდა იყოს ის, როდესაც თავად ასეთი პრობლემები აქვს მის ერთი ციდა მეზობელთან“, - აღნიშნავს ვაშაძე, რომელსაც მიაჩნია, რომ „დიალოგს ალტერნატივა არ აქვს“.

„პირველი“



### მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა



სხდომაზე, რომელსაც საკრებულოს წევრებთან ერთად საზოგადოების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ, განხილულ იქნა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები: 1. დადგენილების პროექტი „სობის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის

დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 30 დეკემბრის N137 დადგენილებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის თაობაზე“;

2. დადგენილების პროექტი „სობის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“;

3. დადგენილების პროექტი „სობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 12 ივლისის N6 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“;

4. განკარგულების პროექტი „2010 წლის ადგილობრივი შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 27 აგვისტოს N33 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“;

5. განკარგულების პროექტი „სობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თვითმმართველობის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

6. „შპს „სობი დასუფთავება და განათების“ დაფუძნებისა და წესდების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2008 წლის 28 თებერვლის N88 განკარგულებაში ცვლილების და დამატების შეტანის შესახებ“;

7. განკარგულების პროექტი „ფრაქცია „სობი-დემოკრატების“ რეგისტრაციის შესახებ“;

8. განკარგულების პროექტი „სობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-სარევიზიო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის წლის 25 ივნისის N13 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

9. „სობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა (სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, მშენებლობა, ვაჭრობა, მომსახურება, ინფრასტრუქტურა, ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვა) კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის წლის 25 ივნისის N15 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

10. განკარგულების პროექტი „სობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზოგიერთი ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ საკრებულოს სხდომაზე დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები გულდასმით მოსმენისა და განხილვის შემდეგ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

### დასრულდა მამისტრალური დამუშავების არხის ამოწმებითი სამუშაოები

ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალადიდში დასრულდა მამისტრალური დამუშავების არხის ამოწმებითი სამუშაოები. გაიმინდა არხის 3 კილომეტრიანი მონაკვეთი. სამუშაოები განახორციელა შპს „კოლხეთი M“-მა ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით.

### საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სხდომა



2010 წლის 30 ოქტომბერს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოში გაიმართა საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სხდომა. დღის წესრიგით გათვალისწინებული იყო 5 საკითხის განხილვა. ფრაქციის სხდომაზე საკრებულოს შესაბამისმა კომისიებმა წარმოადგინეს მათ მიერ განხილული საკითხები, რომლებიც საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში იქნა შეტანილი. განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით ფრაქციის წევრებს შორის ჩამოყალიბდა ერთიანი პოზიცია თითოეულ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

### სობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარეგანი განათების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები. პირველ ეტაპზე განხორციელდება ქალაქ ხობის გარეგანი განათების აღდგენითი სამუშაოები. სამუშაოებს ასრულებს შპს „სობი დასუფთავება და განათება“.



15 ოქტომბერს ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაიწყო გარეგანი განათების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები. პირველ ეტაპზე განხორციელდება ქალაქ ხობის გარეგანი განათების აღდგენითი სამუშაოები. სამუშაოებს ასრულებს შპს „სობი დასუფთავება და განათება“.

## ს ტ უ ე რ ი

ხობელ კაცს, რომ ხობი უყვარს, ელემენტარული და უბრალო ჭეშმარიტებაა, ორმაგად მძაფრდება ეს გრძნობა, როცა შენი ქალაქი, შენი ადგილის დედა, თუკი შენს თვალწინ თანმიმდევრულად და დინამიურად ვითარდება. მშვენიერია ხობის ცენტრალური მოედანი და ქუჩები, ადგილობრივი მმართველობის და სხვა ადმინისტრაციული, თანამედროვე არქიტექტურული სტილით ნაგები შენობები, მათ შორის მოჩანს თეატრის შენობა, რომლის წინ მოედნის შუაგულში უზარმაზარი ჭედური კომპოზიციით დამშვენებული შადრევანია. თეატრის ხელმარჯვნივ კინოთეატრის ლამაზი შენობა დგას, რომლის წინა ხედს ამშვენებს „მზეჭაბუკის“ დიდი ქანდაკება.

ხობის მშვენიერებაა „წითელი ოფისი“, როგორც მას უწოდებენ ადგილობრივები, მის გასწვრივ მდებარე პატარა სკვერით და ყვავილნარით.

თანამედროვე მთხოვნებს პასუხობს მეორე საჯარო სკოლის წინ მდებარე ბაღი, ბავშვთა სათამაშო მოედნით, კინოთეატრის მიმდებარე კი გახსნილია ცოტნე დადიანის სახელობის სკვერი, სადაც სულ ცოტა ხნის წინ გაიხსნა რუსული აგრესიის შედეგად დაღუპულთა მემორიალი. აქვე მდებარეობს ხობის ღირსშესანიშნაობების გვირგვინი წმინდა სამების ეკლესია, რომელიც უღამაზესად ერწყმის აქაურ ლანდშაფტს.

ეს და კიდევ სხვა მრავალი კულტურული ძეგლები ხობელთა დაძაბული და ზღვარდაუღებელი შრომის

შედეგად არ იყო, კალათბურთის, ჩოგბურთის მოედნები, კეთილმოწყობილი ფეხბურთის სტადიონი, ოლიმპიური რეზერვების სკოლა-ინტერნატი, სასტუმრო და ბოლოს ხობში მიმდინარე კულტურული ღონისძიებები. მე მასხოვს რუსთაველის

**-მასხოვს ვერიკო ანჯაფარიძის იუბილის გადახდა ხობში.**  
**-უახლოესი წარსული იყო კალიან რთული და მძიმე.**

თეატრი გერმანიაში გასტროლებიდან პირდაპირ ხობში რომ ჩამოვიდა, მასხოვს ვერიკო ანჯაფარიძის იუბილის გადახდა ხობში, საკავშირო სპორტული ღონისძიებების ჩატარება აქ. არა, ნოსტალგია ნამდვილად მაქვს.

**ზაირა ცხადაია**-ნოსტალგია! წარსული ცხოვრება ყველაში ტოვებს რაღაც კვალს. ხშირად მომნატრებია ჩემი ყოფილი მეგობრები, მენანება დაკარგული ურთიერთობები, მენატრება ნაცნობი სახეები. საბჭოთა წყობა ჩვენი მოტანილი არ იყო, მაგრამ სუფთა, ადამიანური, ზნეობრივი ღირებულებები იმ დროს ყოველთვის ახლდა თან. არ იყო ადამიანთა შორის გაუცხოების მომენტები.

# „დღეს კი ნამდვილად ვხედავთ გაკეთებულს“

ნაყოფს წარმოადგენს. წლის ბოლოს ხობელები კვლავაც ყურადღებით და დაკვირვებით აფასებენ საწყის მონაცემებს და საზღვრავენ სამომავლო ამოცანებს.

სწორედ ჩვენი ქალაქის წარსულზე, აწმყოსა და მის მომავალზე სასაუბროდ მოვიწვიეთ ხობელები, ის ხალხი, ვინც ღირსეულად გაიარა წარსული, ცხოვრობს აწმყოში და გეგმავს მომავლის პერსპექტივებს. ასეთი ადამიანები მრავლად არიან ამაჟღერად ჩვენთან სტუმრობა მხოლოდ რამდენიმე ისურვა.

დღევანდელი რუბრიკის სტუმრები არიან-ქალბატონი ზაირა ცხადაია, -პედაგოგი, ბატონები: გოგი ბუკია-პენსიონერი; კარლო ჯობავა-გამგებლის რწმუნებული ქალაქ ხობში, კლადიმერ (ვოვა) ქანთარია-ექიმი.

**რას გვეტყვით ხობის წარსულზე, მის როლზე ზოგადად რეგიონში, ყველაზე მეტად რისი ნოსტალგია გაქვთ ხობთან მიმართებაში?**

**გოგი ბუკია**-წარსულში? ჩვენ წარსულიდან მოვ-



**როგორც თქვენ აღნიშნეთ, ხობს აქვს საკმაოდ „სატრამპო“ წარსული, რას იტყვით. როგორია დღევანდელი ხობი, რა გააკეთდა, რა კეთდება.**

**კარლო ჯობავა**-ცნობილია, რომ ფორმაციიდან ფორმაციამდე გადასვლას აქვს კრიზისული ფონი და დრო. ეს დრო ჩვენ გავიარეთ. უახლოესი წარსული, როგორც ყველას კარგად ახსოვს, იყო ძალიან რთული და მძიმე. მაგრამ ეს ჩვენ გადავიტანეთ. რა გააკეთდა ხობში? დავიწყეთ შიდა ქუჩების მოასფალტებით. გაკეთდა გარე განათება, გაყვანილი იქნა სანიაღვრე არხები, მთლიანად ქალაქის გამრეცხველიანება. უკიდურესად გაჭირვებულ თანამოქალაქეებს გამგეობიდან ერთჯერადი ფულადი დახმარება გაეწეათ.

**ვოვა ქანთარია**-ჩვენი ქალაქი ყოველთვის გამორჩეული იყო. ამ გამორჩეულობის მიზეზი რაიმე კერძო ინტერესი არ არის, არამედ ის წარმატებებია, რომელიც აქაურებს მოუპოვებიათ საქართველოს ძლიერებისათვის, საქართველოს აყვავებისათვის, საქართველოსთვის ბრძოლისა და შრომის საქმეში. ამ ქალაქში უკეთესად იღვწიან კულტურული და ეკონომიკური წინსვლისათვის. აქ უფრო მეტად სტკივით ვეღვი დემოკრაფიული და ეკოლოგიური პრობლემების გამო. დღეს ყველანი ვხედავთ, როგორ იცვლება ხობის იერსახე და მისი მნიშვნელობაც.

**ზაირა ცხადაია**-ყველა ჩვენგანს გვასხოვს ხობის ბოლო ორი ათეული წლის წინანდელი იერსახე. ჩაბნელებული და გააპრტახებული ქუჩები, მოუწესრიგებელი სპორტული მოედნები, ჭაობში ჩაფლული ქალაქის ცენტრის დიდი ნაწილი და ბვრი რამ...

# „ოქროს პერგამენტი 2010“-ის გამარჯვებულები სობელაბი განდენ



სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის –გუბერნატორის ადმინისტრაციის ინიციატივით ჩატარდა ახალგაზრდული ლიტერატურული კონკურსი „ოქროს პერგამენტი- 2010.“ სპეციალურმა ჟიურიმ გამარჯვებულები შემდეგ ნომინაციებში გამოავლინა: საუკეთესო ლექსი, საუკეთესო პროზაული ნამუშევარი, საუკეთესო თარგმანი. მთავარი პრიზი - გრან-პრი „ოქროს პერგამენტი-2010“ გადაეცა სობელნიკა სერგაის, ხოლო პროზაში საუკეთესო მთხრობელი და ჟიურის სიმპატია გახდა ასევე სობელი მარიამ ჭობონელიძე. გამოიცემა კრებული, სადაც განთავსდება კონკურსში წარმოდგენილი საუკეთესო ნაწარმოებები.

22 ოქტომბერს საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციასა და საქართველოს პარლამენტში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ორგანიზებით ექსკურსიით იმყოფებოდა



## სობელი მოსწავლეები საქართველოს პარლამენტში

სობის მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების X-XII კლასების 50 მოსწავლე. მოსწავლეები შეირჩა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ინიცი-

რებულ სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტებში მიღწეული წარმატებების მიხედვით. მოსწავლეები ესტუმრნენ სამების საკათედრო ტაძარს და განახლებულ მცხეთას.

## ინიციატივას –მხარდაჭერა!

ქარიატა საკმაოდ ძლიერი სოფელია. მეზობლობა და ურთიერთდახმარება სოფლისათვის ნამდვილად არაა უჩვეულო. ზამთრის სეზონის დადგომას ყველა თავისებურად ხვდება. როგორც ვიცით, საშუალო მერქნით მოსახლეობის უზრუნველყოფა სპეციალურად გამოყოფილ ტყე-კაფებში ხდება. მოსახლეობა კონკრეტულ ადგილებზე სპეციალური ბილეთით მითითებული რაოდენობის საშუალო მერქანს თავად ამზადებს.

ეს ის კატეგორიაა, რომლებსაც ჯანი და ღონე ერჩით. მაგრამ დაცული ხალხი, რომელთაც სოციალურ პრობლემებთან ერთად ასაკობრივი თუ ჯანმრთელობის პრობლემები აქვთ, ამას ვერ ახერხებენ.

სობის მუნიციპალიტეტის გამგებლის, ბატონ ივანე ტყეშელაშვილის ინიციატივას, დავხმარებით თუნდაც ერთ შეჭირვებულ თანასოფელს, მინდა სიამაყის გრძობით ვთქვა-ქარიატელები ერთ-ერთი პირველები გამოვეხმარეთ. ლევან ოკუჯავა, ირაკლი და ლევან სტეფანიანი, მალხაზ ბერაია, მიმიკო ქაქუთია. აი, ის ხალხი, რომლებმაც 72 წლის ლენა თითმერაის ოჯახისათვის საშუალო მერქნის დამზადება გადაწყვიტეს.



იმ დღეს ჩვენს გვერდით იდგა მუნიციპალიტეტის გამგებელი ბატონი ივანე ტყეშელაშვილი. ეს ჩვენთვისაც მეტი სტიმული გახლდათ. ქალბატონ ლენას, რომელიც დიდი ხანი ლოგინადაა ჩაგარდნილი, თან ავადმყოფ შვილიშვილებზე დარდი არ ასვენებს, გამგებლის და თანასოფელების ყურადღებამ ძალია შესძინა. ფეხზე წამოდგარი დაგვხვდა. მოხუცის ლოცვა უდიდესი ჯილდო იყო ყველა ჩვენთანსათვის. თითქოს დალღაც სადღაც გაქრა. „შემოგვკლეთ შვილო, მართლა არ მქონდა იმედი, რომ წელს ადამიანურად შევძლებდი ღუმელის დანთებას. ეს ავადმყოფი ბავშვი, ფიჩხების მოტანას თუ შეძლებდა, ჩემი მადლი თავს არ წამოგატკიებოდა“-გვეფერებოდა მოხუცი.

მინდა, როგორც სოფლის რწმუნებულმა და როგორც ერთმა ადამიანმა, მოგიწოდოთ ყველას, ვისაც ეს შეგიძლიათ, გადავლოთ ერთი დღე ჩვენი შეჭირვებული მეზობლის, თანასოფელის დასახმარებლად, დამერწმუნეთ, ეს ის მადლია, რომელიც გულს საღებუნად ედება.

მინდა სოფლისა და ქალბატონ ლენას დავალებით, თქვენი გაზენის ფურცლებიდან, მადლობა გადავუხადო მუნიციპალიტეტის გამგებელსა და საინიციატივო ჯგუფს ასეთი საგულისხმო საქმის წამოწყებისა და მხარდაჭერისათვის.

**კახა მიქაბერიძე,**  
გამგებლის რწმუნებული  
სოფელ ქარიატაში.

## მიმდინარე პრივატიზაცია სარიოზული ცვლილებები უნდა შეიტანოს მუნიციპალიტეტის რეალობაში

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და სახელმწიფო-აღრიცხვისა და პრივატიზების სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო სამმართველო სობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ახორციელებს თავისუფალი სასოფლო-სამეურნეო მიწებისა და შენობა-ნაგებობების პრივატიზაციას. მუნიციპალიტეტის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განყოფილება დაინტერესებულ იურიდიულ თუ კერძო პირებს დოკუმენტაციის წარსადგენად უწევს შესაბამის კონსულტაციას. მიმდინარე საპრივატიზაციო პროცესში უმთავრესი პრიორიტეტი სოფლის მეურნეობის, მეცხოველეობის განვითარება და სწორად გათვლილი ინვესტიციაა, რომელმაც კიდევ ერთი სერიოზული ცვლილება უნდა შეიტანოს მუნიციპალიტეტის რეალობაში.

## წყალდიდობა პატარა ფოთში



ლი წლის ბიუჯეტში იქნება გათვალისწინებული.“

სობის რაიონის სოფელ პატარა ფოთში მდინარე რიონმა ჯებირები გამოეწიას 04:00 საათზე გაარღვია, 50-მდე სახლი დატბორა, ზოგ ადგილებში წყლის დონემ ერთ მეტრს მიაღწია. წყალდიდობის გამო მოსახლეობას მიაღწა ზარალი. შემთხვევის ადგილზე მობილიზებული იყო შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების ქვედანაყოფი, სამხარეო ადმინისტრაცია, სობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ხელმძღვანელობა. სობის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბატონ ივანე ტყეშელაშვილს განცხადებით: „შეიქმნა კომისია,ზარალი იქნება დათვლილი. დაზარალებული მოსახლეობისთვის კომპენსაცია გამოიყოფა. ხოლო რაც შეეხება დამბის გამაგრებას, მომავალი წლის ბიუჯეტში იქნება გათვალისწინებული.“

## მაია აზარაშვილის თანხმობა უმასპინძლა



23 ოქტომბერს სობში მაია აზარაშვილის თანხმობით გათამაშდა ჩატარდა. ოლიმპიური პრიზიორის შეჯიბრებას უკვე მეოთხე წელია სამეგრელოს რეგიონი მასპინძლობს.

მარტვილის, ჩხოროწყუს და წალენჯიხის შემდეგ წლეულს ესტაფეტა ხობმა გადაიბარა და საკმაოდ საინტერესო ტურნირში 200-მდე მძლეოსანს შორის ჩემპიონ-პრიზიორები გამოავლინა.

ხობში თავმოყრილ მძლეოსნებს თბილისიდან სტუმრებიც ეწვივნენ. გარბენს მძლეოსნობის ფედერაციის გენერალური მდივანი მაია აზარაშვილი, მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი თამაზ მდინარაძე, მძლეოსანთა ნაკრების თავკაცი - ანდრო ბედუკაძე და სახელოვანი მოჭიდავე, ოლიმპიური ჩემპიონი - რომან რურუა დაესწრნენ.

ტურნირის დაწყებამდე მძლეოსნობის ფედერაციის ხელმძღვანელები ადგილობრივი მუნიციპალიტეტის

წარმომადგენლებს შეხვდნენ. თასებით დააჯილდოვეს და სამეგრელოს რეგიონში მძლეოსანთა დახმარებისთვის მადლობა გადაუხადეს. თავად შეჯიბრება კი, რომელიც სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური ფედერაციის და სობის მუნიციპალიტეტის მიერ იყო ორგანიზებული საინტერესოდ წარიმართა. საუკეთესოები სხვადასხვა დისტანციაზე გამოვლინდნენ. მთლიანობაში ყველაზე მეტი მედლის დასაკუთრება კი ზუგდიდელმა მძლეოსნებმა მოახერხეს და გუნდური პირველი ადგილიც დაიკავეს. შეჯიბრების დასრულების შემდეგ გამორჩეული სპორტსმენები მაია აზარაშვილმა მედლებით დააჯილდოვა. თასები გადაეცათ საუკეთესო სამი გუნდის კაპიტნებს. აზარაშვილმა ინდივიდუალურად დააჯილდოვა ჩხოროწყუსელი ბაჩანა ხორავა, რომელმაც წლეულს მოსკოვში საერთაშორისო ტურნირში იმარჯვა და ეროვნულ ნაკრებში სამეგრელოს წარმომადგენს.



## პრემიერ საჯიჯაოში

21 ოქტომბერს, 15:00 საათზე, საჯიჯაოს კულტურის სახლში უნდა პრემიერა საქმთაქლისა: „სტუდენტური ოინები ანუ ცოლი ხუთი ფუთით“ რეჟისორი რ.ლოლუა.

3 <<<<<

### ს ტ უ მ ა რ ი

ვიონში გავხადოთ ერთ-ერთ სანი-  
მუშო ქალაქად, რისთვისაც ერთად  
დგომა და მუხლჩაუხრელი შრომა საჭირო.

დღეს კი ნამდვილად ვხედავთ გაკეთებულს.  
ზაფხულის პერიოდში განსაკუთრებულად იგრძნობა  
თუ როგორ მასპინძლობს ხობი ყველა ჩამოსულს.  
ყველა მოზარდს აქვს გართობის საშუალება.

**გოგი ბუკია**—რაც გაკეთდა უკვე აღნიშნეს. მო-  
საგვარებელ საკითხებს რა გამოლევს, მაგრამ მინდა  
ერთი მაგალითი მოვიყვანო, რომელიც ჩემი და ჩემი  
ქუჩის ხალხის გულისტკივილს გამოხატავს. ჩვენი  
ქუჩის მაცხოვრებლებმა მიმართეს მუნიციპალიტე-  
ტის საკრებულოს შეესწავლათ მძიმეწონიანი სატ-  
ვირთო მანქანების გავლის მდგომარეობა ჩვენს ქუ-  
ჩაზე, საკითხი დროულად იქნა შესწავლილი და საკ-  
რებულომ გაითვალისწინა მოსახლეობის მოთხოვნა  
და მიიღო სამართლიანი გადაწყვეტილება—აეკრძალა  
აღნიშნულ მანქანებს ამ ქუჩით გავლა. დაიდგა  
ამკრძალავი ნიშანი მაგრამ იგი რამდენიმე ხნის  
შემდეგ ვიღაცის ეზოში ნახეს გადაგებული, მოხდა  
მისი ისევ აღდგენა და დადგა ადგილზე, მაგრამ  
მოკლე ხანში ისიც გაქრა, მოუწოდებ ყველას, ჩემს  
თანამოქალაქეებს, მძღოლებს, ნუ შეხებიან ამკრძალავ  
თუ მაჩვენებელ ნიშნებს.

**როგორ მივაჩნიათ არის თუ არა ხობი  
დღეს „სუფთა ქალაქი“, ანუ როგორია მისი  
ეკოლოგიური მდგომარეობა, რა პრობლემებს  
ხედავთ ამ კუთხით?**

**ზაირა ცხადაია**—თუ ძლიერი იქნება მუნიციპალი-  
ტეტის ეკონომიკა, ქალაქი მით უფრო მეტად დამ-  
შვენდება. პირველი რიგში უნდა გაკეთდეს წყლის  
საწვრეტი არხები; იტბორება №1 საჯარო სკოლას-  
თან მისასვლელი ადგილები. დიდი ხანია წყალი არ  
მიეწოდება ცენტრე დადიანის ქუჩას (ხიდს გაღმა) და  
მის მიმდებარე ტერიტორიას (ყოფილი ჩაის კომბინა-  
ტი). ვსარგებლობ თქვენთან შეხვედრით და გთხოვთ  
თქვენი გაზეთის საშუალებით გააშუქოთ არსებული  
პრობლემა.

**რას გვეტყვიო ჩვენს გაზეთზე?**

**გოგი ბუკია**—ეს გაზეთი ყველას კუთვნილებაა.  
მე მასსოვს თუ რამდენი კორესპონდენტი ჰყავდა  
გაზეთს, როგორი იყო მისი მატერიალურ-ტექნიკუ-  
რი ბაზა. ამ გაზეთს დღეს არ წაიკითხავს სოფელი,  
თუ მასში არ აისახა სოფლის ამბები. მე მგონი  
ტირაჟი არის გასაღები. ხობში არიან ჟურნა-  
ლისტები, რომელთაც აქვთ გაზეთის გაძლიერების  
შესაძლებლობა. ამისათვის მეტად საჭიროა დღევან-  
დელი ტექნიკური საშუალებები. ხანდახან, პუბლიკა-  
ციებში ბავშვები დიდების ენით ლაპარაკობენ, რაც  
ნაკლებად სარწმუნოა. ვთვლი, რომ ინტერვიუ უნდა  
იყოს კონკრეტული და ყოველდღიურობაზე გათვლი-  
ლი.

**ვოვა ქანთარია**—ხობის ამბები უნდა  
აისახოს ფართო მოცულობით, საჭიროდ  
მიმაჩნია საინტერესო მასალები რიგით  
ადამიანებზე, რიგით ხობელებზე, გაზეთმა  
უნდა მოიცვას მუნიციპალიტეტის ყვე-  
ლა სფერო და დროულად ასახოს მიმდ-  
ნარე მოვლენები, მთავარია ოპერატიუ-  
ლი მასალის მიწოდება მკითხველზე.

**2011 წლის ბიუჯეტში შესატანი  
საკითხები დამუშავებული იქნა ქალაქის  
რწმუნებულთან და მაჟორიტარ დეპუტატ-  
თან ერთად და წარედგინა  
მუნიციპალიტეტის გამგებულს.**

## „დღეს კი ნამდვილად ვხედავთ გაკეთებულს“

**ვოვა ქანთარია**—რომ ვთქვა საგანგაშო მდგო-  
მარეობაა მეთქი ვერ ვიტყვი. ქალაქი სუფთა-  
დება, საზოგადოებრივი თავშეყრის, ოფისების,  
სხვადასხვა დაწესებულებებთან ყველგან დგას  
ნაგვის ყუთები. დროულად ხდება მათი დაცლა  
და გატანა. მაგრამ ვიტყვით, რომ ცუდი მდგო-  
მარეობაა მაწანწალა ძაღლების მომრავლების  
მხრივ. ამ კუთხით მუშაობა უნდა გაუმჯობეს-  
დეს.

**ზაირა ცხადაია**—უნდა აღნიშნო ქალაქის და-  
სუფთავების სამსახურის ერთგული მუშაობა. სა-  
დამოს საათებში ყველა უბანი, საცხოვრებელი  
კორპუსების მიმდებარე ტერიტორიები სისტემა-  
ტურად სუფთავდება. დღის საათებში ქალაქში  
სხვა სურათია. პრესის ფურცლებიდან უხერხულა  
ვინმეს კულტურისაკენ მოვუწოდო (უმრავლე-  
სობასთან ბოდიშს ვიხდი), მაგრამ სხვის შრო-  
მას უნდა გაუფრთხილდეთ. ნაგავი ქუჩაში  
რომ არ უნდა დაყვართ, ეს სხვისგან არ  
უნდა გვესწავლებოდეს. ქალაქი ხომ იგივე  
შენი დიდი ოჯახია.

**გოგი ბუკია**—ქალაქის სისუფთავე შენი  
ეზოდან, შენი ქუჩიდან იწყება. ამიტომ ყვე-  
ლამ ხელი უნდა შეუწყოთ ლამაზი და სუფთა  
გარემოს შექმნას. მე მინდა ყურადღება გა-  
ვამახვილო საკანალიზაციო არხების თა-  
ვანხილ ჭებზე. ხობში რამოდენიმე ადგი-  
ლას ძალიან ცუდი მდგომარეობა გვაქვს. შეიძლება  
ამას მსხვერპლიც მოჰყვეს.

**რა არის დღეს ყველაზე აქტუალური სა-  
კითხი ხობში რა უნდა გაკეთდეს ანუ რა  
უნდა აისახოს მომავალი წლის ბიუჯეტში?**

**კარლო**—2011 წლის ბიუჯეტში შესატანი საკითხები  
დამუშავებული იქნა ქალაქის რწმუნებულთან და  
მაჟორიტარ დეპუტატთან ერთად და წარედგინა მუ-  
ნიციპალიტეტის გამგებულს. მასში ნათლად არის  
ასახული ჩვენი ქალაქის უპირველესად მოსაგვარებელი  
პრობლემები, კერძოდ, ქალაქის მოსახლეობის წყალ-  
მომარაგების საკითხის გადაწყვეტა, სანიაღვრე  
არხების გაყვანა—ამოწმუნდა, შიდა გზების მოასფალ-  
ტება, გარე განათება, გაზიფიცირება, მართალია ჯერ  
კიდევ შორს ვართ, როგორც სოციალურ ისე ეკონო-  
მიკური პრობლემების სრულად მოგვარებში, მაგრამ  
ვეცდებით რაიონის გამგებობისა და საკრებულოსთან  
ურთიერთთანამშრომლობით ქალაქი ხობი მთელ რე-



**—ქალაქი სუფთავდება, საგანგაშო  
მდგომარეობა არ გვაქვს—ქალაქი სომ იბივე  
შენი დიდი ოჯახია.**  
**—ქალაქის სისუფთავე შენი ეზოდან, შენი  
ქუჩიდან იწყება.**

**კარლო ჯობაჯა**—პირველ რიგში ვთვლი, რომ კარ-  
გია გაზეთისთვის სახელის შეცვლა, გაზეთი უნდა  
გახდეს უფრო შინაარსიანი, მან წინ უნდა წამოწი-  
ოს მუნიციპალიტეტის სოფლებისა და ქალაქის მცხოვ-  
რებთა პრობლემები.

**ზაირა ცხადაია**—გაზეთი უნდა იყოს ობიექტური,  
რაც თავისთავად ძნელია, მაგრამ გასაკეთებელი. თუ  
ვიქნებით კრიტიკული, უნდა ვიყოთ თვითკრიტიკუ-  
ლებიც, გაზეთმა უნდა დაიტოს ყველა სფერო, ამ  
გაზეთის საშუალებით პატივი უნდა მივაგოთ რიგით  
ადამიანებს.

დამთავრდა ჩვენი შეხვედრა—დილოგი, სადაც კი-  
დევ ერთხელ გამოიკვეთა თუ როგორ მოგვანატრებია  
ერთმანეთი, როგორი საჭირო გამხდარა აზრისა და  
იდეის გაცვლა... მას ასე, დილოგი დაიწყო, დილო-  
გი გრძელდება.

**მანანა შულაია**

**საკრებულოს თავმჯდომარე  
საქართველოს მმართველობის  
ფედერაციის წარმომადგენ-  
ლებს უხვდა**



23 ოქტომბერს ქალაქ  
ხობს სტუმრობდნენ სა-  
ქართველოს მმღეოს-  
ნობის ფედერაციის პრე-  
ზიდენტი თამაზ მდინა-  
რაძე, ოლიმპიური თამა-  
შების პრიზიორი მაია  
აზარაშვილი, ოლიმპიუ-  
რი ჩემპიონი რომან რუ-  
რუა და მმღეოსნობის ფე-  
დერაციის სხვა წარმო-  
მადგენლები. საკ-  
რებულოს სხდომათა დარბაზში საპატიო სტუმრები მიიღო ხობის  
მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე. შეხვედრისას  
მსჯელობის მთავარი თემა მუნიციპალიტეტში მმღეოსნობის გან-  
ვითარებაზე ზრუნვა და მხარდაჭერა იყო. განსაკუთრებული აქ-  
ცენტები გაკეთდა ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების მიზნით  
ახალგაზრდობის სპორტულ ღონისძიებებში აქტიურ მონაწი-  
ლეობაზე. შეხვედრაზე განიხილეს საქართველოს მმღეოსნობის  
ფედერაციისა და მუნიციპალიტეტის შემდგომი თანამშრომ-  
ლობისათვის საინტერესო პროგრამები. რაც სასიკეთო გავლენ-  
ას იქონიებს სპორტული მონაცემების მქონე ახალგაზრდების  
გამოსავლენად და მუნიციპალიტეტის საზოგადოებაში ცხოვრების  
ჯანსაღი წესის დასამკვიდრებლად. შეხვედრის დასასრულს,  
ფედერაციის გენერალურმა მდივანმა, ტურნირის მაღალ დონეზე  
ორგანიზებაში გაწეული დახმარებისათვის საკრებულოს თავმჯდო-  
მარეს მაია აზარაშვილის სახელობის სამახსოვრო თასი გადას-  
ცა.

### შუა ხორგისა და პირველი გურიფულის საბავშვო ბაღებში სარემონტო სამუშაოები დასრულდა



შუა ხორგისა და პირველი  
გურიფულის საბავშვო  
ბაღებში სარემონტო სამუ-  
შაოები დასრულდა. ამჟამად  
მიმდინარეობს შესრუ-  
ლებული სამუშაოების ექ-  
სპერტიზა. სარემონტო სამუ-  
შაოების მიმდინარეობისას  
ობიექტი დათვალიერა საკ-  
რებულოს თავმჯდომარე მ.  
ჭოხონელიძემ საკრებულოს  
ბიუროს წევრებთან ერთად. სკოლამდელი სააღმზრდელო გაერ-  
თიანების ადმინისტრაციის ცნობით, პირველი გურიფულის საბავ-  
შვო ბაღში სასწავლო პროცესის მიმდინარე წლის 1 ნოემბრიდან  
დაიწყება.

### სარეაბილიტაციო სამუშაოები სოფელ ჭალადიდში

ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალადიდში ადგილობრივი  
ბიუჯეტის სახსრებით შესრულდა ადმინისტრაციული შენობის  
გადახურვითი სამუშაო. ასევე, სოფლის განვითარების პროგრამის  
ფარგლებში განხორციელდა შიდა სასოფლო გზის მოხრეშ-  
ვითი სამუშაოები.

### სობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი დევის-ის ქსელში

ა.ი.პ. ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის  
ცენტრი 2010 წლის 1 ოქტომბრიდან ჩაერთო დაავადებათა ზედამხედ-  
ველობის ელექტრონული ინტეგრირებული სისტემის - დევის-ის  
ქსელში. დევის უპირველესად შექმნილია განსაკუთრებით საშიში  
დაავადებების მონიტორინგისთვის და შემუშავდა TADR პროექ-  
ტის მოთხოვნის შესაბამისად, თავდაცვის დეპარტამენტის მიერ  
დაფინანსებული ბიოლოგიური საფრთხის შემცირების პროგრამის  
/BTRR/ ფარგლებში. მისი გამოყენება შესაძლებელია მსოფ-  
ლიოს ნებისმიერ ადგილას. დევის სისტემა შეიცვალა ისეთ ქვეყნებში  
გამოსაყენებლად, როგორცაა საქართველო, უზბეკეთი, ყაზახეთი,  
აზერბაიჯანი და უკრაინა.

### სობის ცენტრალური ბიბლიოთე- კის ფიზიკური ფონდი განასჯდა



ქალაქ ხობის ცენტრა-  
ლური ბიბლიოთეკის  
ფიზიკური ფონდი ახალი  
გამოცემებით შეივსო.  
კულტურის ცენტრის  
მიერ ახალი წიგნების  
შესაძენად 1400 ლარი  
იქნა გამოყოფილი. დღე-  
იდან ბიბლიოთეკის  
მკითხველებს ახალი  
მხატვრული და სამეც-  
ნიერო ლიტერატურით  
სარგებლობის შე-

### ინტერვიუ



კალზე საინტერესო პიროვნება გახლავართ. მოკრძალებული და უპრეტენზიო. ეს სწორედ განათლებულ ადამიანთა თვისებაა. ქუჩაში მიგაგაღწას ადვილად შეაჩვენებო, რომ მუდამ უმცროსი, თითქოს ემიგრანტი...

ღიას, ხშირად გვამოგვას სხვადასხვა აღმოჩენებით. ის სწორედ მუდამ ემიგრანტი, მცნობიერების და არამოლოდინობის ერთად ხშირად სხვადასხვა ისტორიული ძეგლების სიხალისეს, ნამარხების პროვინსას მათთანაა და მათ ხვდები იზიარებს...

გოგინა ჩიტაიას წლებია ვიცნობ. ვიცი, რომ არ ბუზღობს სათიბოთი ბიბლიოთეკაში, არქივში სიძველეების ქვეშ. „სიძველესადმი ნდობა, პატივი...“ მასში სულიერ სიმშვიდეს ვპოვებ. თავს ახალ ეპოქაშიც გვეჩვენებს გარემოს და სიძველეებთან უხვედრის დროსაც თავის ამაღლებას მუდამ.

ამასწინათ კალზე გახარებულ ვხსან. უმნიშვნელოვანესი ხელნაწერი ჩამივარდა, გარკვეულწილად იყო, რომ ის ამჟამად მისი საკუთრებაა. ერთი სული ჰქონდა ხელნაწერი იმ დამკვეთს, სადაც მისი ადგილი იყო...

ამ საინტერესო პიროვნებასთან უხვედრად მუდამ სასურველია. ამასწინათ რედაქციაში მოვიდა და ვთხოვე რამდენიმე შეკითხვისთვის ეპასუხა. ღვთის საღიბელად აღვლენილი ღვთის ბაპტიზმად მუდამ.

### ბატონო გიორგი, როგორც ვიცით, სპეციალური ისტორიკოსი ბრძანებით, სამსახურიც შესატყვისი გაქეთ, პოპიკ გენერალთა და ექვთარეშია, გვიხიდათ ისტორიული ძეგლების კვლევა-ძიება?

ეს საქმე მართლაც ძალიან საინტერესოა, როდესაც ურთიერთობა გიხდება ათასწლეულებთან, განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას გრძნობ წინაპრების, ქვეყნისა და მისი მომავლის წინაშე. ეს არ არის ჩემი პოპი, „პოპიური“ გატაცება ხანდახან ავადმყოფურ აზრებში გადაიზრდება. დიდი შოთა ამბობს: „ჩვენ კაცთა მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა“. დღემდე იწაზნებენ რამ არის ადამიანისათვის საინტერესო, რომლის კვლევა და შესწავლა აუცილებლობასთან ერთად სასიამოვნოც იქნებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ადამიანის შესაძლებლობები და უნარი არ იძლევა მის სა-

გრიგოლის დავალებით ვასრულებდი ეპარქიის მთავარი ისტორიკოსის-მემატიანის მოვალეობას, ხოლო 2003 წლიდან ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, ადგილობრივმა ხელისუფლებამ მეტად საპატიო მისია-მუნიციპალიტეტის ისტორიული ძეგლების დაცვა და მკვლელობა ჩვენი რაიონის ისტორიის კვლევაში დიდ დახმარებას მიწვევენ ცნობილი მეცნიერები, პროფესორები: იუზა ხუსკივაძე, თამაზ ბერაძე, დავით ლომიჭაშვილი, გონელ არახაძე, პაატა ცხადა-

სელი და პედაგოგი (განსაკუთრებით კი ქიმიის მასწავლებელი მედეა ქობალია), ღონისძიებაზე ზაზაგანსით გამოიკვეთა, რომ სემინარმა მოსწავლეთა ცნობიერებაზე ძალზე დიდი გავლენა მოახდინა, სწორედ მისი შედეგია, რომ ამ თემის გარემო შემუშავდა და შემუშავდება აღმზრდელობითი სახისათვის სამომავლო ამოცანები, გამოიკვეთა თითოეული მოსწავლის ახლებური ხედვა, ანუ მოტივაცია. აღინშნა რომ აქტიურად ყველა იყო პოტენციალი, რაც არსებობს ამ საკითხის გარშემო, უფრო გაძლიერდება მოსწავლეთა და მასწავლებელთა, ანუ სკოლის აქტივობა ამ გლობალური თემის გარშემო.

**რამ განაპირობა სკოლაში სასწავლო ორდინის სემინარის ჩატარება და ვისი ეგიდით მოეწყო იგი?**

— სასწავლო ორდინის სემინარი — ეკოლო-

**პროფესორმა ნოდარ კეკელიძემ აღნიშნა, რომ ეს ღონისძიება, რომელიც ჩატარდა ქალბატონ ბეატრის რუსიას ხელმძღვანელობით, უნიკალური და ერთადერთია მთელ საქართველოში მასწავლებელთა მონაწილეობით. როგორ შეეძლო ამის განხორციელება?**

...და დიდმა ენთუზიაზმმა ქალბატონმა, მზრუნველმა და ქველმოქმედმა სკოლის დირექტორმა ბეატრის რუსიამ აქ მობრძანებულ სტუმრებს, მოსწავლეთა და მასწავლებელთა კოლექტივებს, დამსწრე საზოგადოებას კიდევ ერთხელ მიულოცა ახალი სასწავლო წელი, ეს დღე და

...შეხვედრის დროს შეკრებილი სკოლის დირექტორთან გასაუბრება, მოვარგებე მისგან გამეგო ამ დღის მნიშვნელობასა და სამომავლო გეგმებზე.

**რას გეგმავთ სკოლა „არეა“-ს ბილოგორიანულ წარმატებებსა**

ლოგიური განათლება სკოლის მოსწავლეებს და გარემოს მონიტორინგი“ 11-12 ოქტომბერს ჩატარდა შვეიცარიის საელჩოს ხელშეწყობითა და პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელმა, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიუთონის კვლევის სამეცნიერო-მედიკალური ინსტიტუტის დირექტორის, პროფესორ ნოდარ კეკელიძის დახმარებით შეკრებილი პროექტის სისრულეში მოყვანა. ეს ორდინის სემინარი საქმიანი და დაუვიწყარი აღმოჩნდა მოსწავლეებისათვის. პროფესორ-მასწავლებლებმა საინტერესო ლექციები ჩატარეს. მოსწავლეებთან ერთად შეისწავლეს რაიონის ღირსშესანიშნავი ადგილები. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს თემა აქტუალური. მართლაც, წარმოუდგენელი მრავალფეროვნებით გამოირჩევა ჩვენი ბუნება, გარემო, რომელსაც გაფრთხილება და მოვლა სჭირდება.

ბატონ ნოდარ კეკელიძესთან გასაუბრებისას ვაივებოთ თუ რა პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს ეს შეხვედრა.

— ერთი წლის წინ, სკოლა „არეა“-ს დირექტორის, ქალბატონ ბეატრის რუსიას ხელმძღვანელობით განხორციელდა აღნიშნული პროექტი, რომელიც მისი აქტივობის დაფინანსებით შეიქმნა, მისი ინიციატივით მოხდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორების ჩართვა ამ პროექტში. პროექტის არსსა და მნიშვნელობაზე, რომ მომდევნო წლისათვის განხორციელდება მოსწავლეების მომზადება საქართველოს რესპუბლიკური ოლიმპიადისათვის, რაც ყველაზე მთავარია, პროფესორმა ნოდარ კეკელიძემ აღინშნა, — რომ ეს ღონისძიება, რომელიც ჩატარდა ქალბატონ ბეატრის რუსიას ხელმძღვანელობით, უნიკალური და ერთადერთია მთელი საქართველოს მასშტაბით. — სამომავლოდ გეგმაში ვგაქვს განვხორციელოთ პირადი კონტაქტები შვეიცარიის ქ. ციურისის მოსწავლეებთან.

საინტერესო და მრავალმომცველი იყო მეორე დღის პრაქტიკული საქმიანობა, რაც ძირითადად მდინარე სტობისწყლისა და ტბა პაპანწყურეში განხორციელდა. კერძოდ, მდინარე სტობისწყლისა და ტბა პაპანწყურეში უნივერსიტეტის ლაბორატორიაში ზოგიერთი პარამეტრის ანალიზისათვის აღებულიქნა წყლისა და ნიადაგის სინჯები.

როგორც მდინარისა და ტბის ტიპიდან აღებულიქნა წყლის დინამიკა, მისი ფიზიკურ-ქიმიური პარამეტრების საველე სადემონსტრაციო გაზომებისათვის.

იყო შესაბამისი დისკუსია. სჯა-ბასმა მნიშვნელოვანი ლექსები დააფიქსირა. კიდევ ერთხელ გაანალიზდა და შეჯამდა ორი დღის მუშაობის შედეგები.

ბოლოს, სკოლა „არეა“-ს ამ დღის აღნიშნავად გადაეცა სასწავლო ლექციებისა და საპრეტენტაციო მასალების ელექტრონული ვერსიები.

იმედია, თავისი პრინციპების ერთგული სკოლისთვის ეს ორი მნიშვნელოვანი დღე ახალი კონტაქტების, ახალი გზის დასაწყისი გახდება.



**ეკოლოგიური პრობლემა დღეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა. თქვენ როგორ ფიქ-**



„ვინც სულ არ სწივს სამშობლოს არ ითქმის ქვეყნის მშვიდობა...“

„ჩონგური საქართველო, სიმღერა ჩვენ ვართ ყველა...“

8 <<<<<

„აკაკი სავანაძე“

შუა ქვალონის საჯარო სკოლაში აკაკის ცხოვრებისა და ლიტერატურული მოღვაწეობის უკეთესი გაცნობის მიზნით ჩატარდა მინი ლექცია თემაზე: „ჩემი ხატია სამშობლო“, სიმღერის კონკურსი: „ჩვენ ვმღერით სულიერად“ მხატვრული კითხვის კონკურსი: „მე ჩონგური მისთვის მინდა“.



შუა ქვალონის საჯარო სკოლა

მოეწყო მოსწავლეთა მამუშევრების გამოფენა, გამოიცა ხელნაწერი ჟურნალი „ციცინათელა“, სადაც წარმოდგენილია ნორჩი პოეტებისა და პროზაიკოსების ნამუშევრები, ასევე მოსწავლეებმა შეადგინეს ალბომი სახელწოდებით „აკაკი-170-ე“. მოეწყო კედლის გაზეთების კონკურსი. სხვიტორში, მწერლის სახლ-მუზეუმში, ჩატარდა გაკვეთილი თემაზე „აკაკი სავანაძე“. სკოლის დირექციამ კონკურსში წარმატებული მოსწავლეები სიგელებით დააჯილდოვა.

„აკაკი სავანაძე პირველი“

პირველი მაისის საჯარო სკოლაში ჩატარდა აკაკი წერეთლისადმი მიძღვნილი კონკურსი „სჯობს მონობაშიც გადიდკაცებულს თავისუფლების ძებნაში მკვდარი“. ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა ნინელი ხუხიაძემ შეიმუშავა კვირეულის გეგმა. კვირეულში ჩართული იყვნენ ხელოვნების მასწავლებელი მურთაზ შურაია, მუსიკის მასწავლებელი ნათია ლატარია, გეოგრაფიის მასწავლებელი ლიანა ძიძავა, ისტორიის მასწავლებელი შორენა ბუკია, ცეკვის მასწავლებელი კობა გერგაია. გამოიცა აკაკის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი გაზეთი აკაკის პორტრეტით, ხელნაწერი ჟურნალები:

აფორიზმები; გამოცანები; სიმღერად ქცეული ლექსები; კალამბურები.

ქართული ანბანი, რომელიც შესრულდა ილუსტრირებულად და კალიგრაფიით, გაკეთდა ბარელიეფი, რომელშიც აკაკის პორტრეტი გამოსახული. ხელნაწერ ჟურნალში შევიდა აკაკის ცხოვრების უცნობი ფურცლები—აკაკი სტუმრად

პირველ მაისში. შესრულდა ნაწარმოებების ილუსტრაციები. მოეწყო ფოტოსალონისა და ილუსტრირებული ნაწარმოებების გამოფენა.

მოსწავლეებმა მოიძიეს მ-



შუა ქვალონის საჯარო სკოლა

სალები საჩხერეზე, სავანეზე, მოხდა მოძიებული მასალების პრეზენტაცია. გეოგრაფიის მასწავლებელმა რუკაზე ჩვენებით მოსწავლეებს აუხსნა საჩხერის, სხვიტორისა და სავანის ადგილმდებარეობის შესახებ.

მათ დაუსწრებლად იმოგზაურეს სხვიტორსა და სავანეში. ქართულის მასწავლებლის ნინელი ხუხიაძისა და ისტორიის მასწავლებლის შორენა ბუკიას ხელმძღვანელობით ჩატარდა დისკუსია თემაზე: წერეთლებისა და აბაშიძეების გენეალოგია, მოეწყო ექსკურსია საჩხერეში.

„სიბავა აქლანაძის ჩანახატი...“

ნოჯიხევის №1 საჯარო სკოლა აქტიურად ჩაერთო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დაგეგმილ აკაკი წერეთლის 170-ე წლისთავისადმი მიძღვნილ კვირეულში.

სკოლაში დაიგეგმა სხვადასხვა ტიპის ღონისძიებები, რომლებშიც მონაწილეობა მიიღეს I-VII კლასის მოსწავლეებმა.

ჩატარდა კონფერენცია თემაზე: „აკაკის ცხოვრება და შემოქმედება“, რომელსაც კურირებდა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი დალი გვაზავა. მოსწავლეებმა (ია და მარი იოსავები, ლიკა და სოფიკო ქაქუთიები, მეგი ზარანდია) წაიკითხეს მათ მიერ მოპოვებულ ინფორმაციებზე დაყრდნობით მომზადებული საკონფერენციო თემები აკაკის

ცხოვრებიდან და შემოქმედებიდან.

შემოქმედებით სადამოხე მოსწავლეებმა ვაჟა იოსავამ, გოგიტა ბოკუჩავამ, ნინო ფაცაცია, ტატიანა გოცირიძემ, ხატია ვეკუამ წაიკითხეს ლექსები პოეტის შემოქმედებიდან. ღონისძიებას ხელმძღვანელობდა დაწვებითი კლასის მასწავლებელი თამარ ბერაია.

„სიტყვა ამღერებული ჩანგში“ ხელმძღვანელობდა დალი გვაზავა, მუსიკის მასწავლებელი ეკა გერგაია და თ-

მარ ბერაია. მოსწავლეებმა შეასრულეს აკაკის ლექსებზე შექმნილი სიმღერები.

ირინა ჭანტურია, მეგლუდ აბშილაძემ, ველოდი შონიამ, ანა იოსავამ და მანუჩარ გერგაიამ დადგეს მინი-სპექტაკლი „გამზრდელი“. სპექტაკლს ხელმძღვანელობდა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ინგა ხვიჩია. მოეწყო აკაკი წერეთლის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი ფოტოსალონისა და ნახატების გამოფენა.



ნოჯიხევის საჯარო სკოლა

გზაგარეშებული თემა „სამოს ამონაზოი ახილავსაჲს, თანისაჲსაჲს კახაუნი ახილავს“

აკაკი წერეთლის 170-ე წლისთავისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში ჩატარებული ღონისძიებების I ეტაპზე, რომელიც ითვალისწინებდა თხზულებების დაწერას თემაზე „სჯობს მონობაში გადიდკაცებულს, თავისუფლების ძებნაში მკვდარი“ ქ.ხობის №2 საჯარო სკოლის XII-ბ კლასის მოსწავლე თამთა ზარანდიამ რეგიონალურ ტურში გაიმარჯვა.

ყველა ისწრაფვის თავისუფლებისკენ და დამეთანხმებით, არაფერია ამაში გაუგებარი, არც მოულოდნელი და გადამეტებული, და რაც მთავარია, არც სხვებისგან გამოსარჩევი. მაგრამ მე ყველასგან განსხვავებულად და მძაფრად აღვიქვამ თავისუფლების მცნებას. მე ყოველთვის ვამსხვრევდი მონობის, უმწეობის, უძლურების სტერეოტიპებს.

მე მირჩევნია, ჩემ ჭერქვეშ შიშში-ლით სული მიმდიოდეს, ვიდრე სხვის ფეხქვეშ გაგებული ნაყოფანებით სულს ვერ ვითქვამდე. მე მირჩევნია, მარტო ვიყო და მციოდეს, ვიდრე ვინმე სხვა თბილ, ძვირადღირებულ ქურქს მასურავდეს ქლესობის სანაცვლოდ.

მე ლალი სული მაქვს, უღრეკი და შეუპოვარი. მე ვერასოდეს შევე-

გუბი სხვისი მოქონვის საშუალებით მიღებულ მატერიალურ კეთილდღეობას. მე საკუთარ მანკიერებათა გამო თავისუფლების დაკარგვა არ მშვევია. მე ზნეობა, კულტურა, ტრადიციები გამაჩნია და მათ არაფერს ვანაცვალე.

მე პომპეუსმა და კრასუსმა დამლაშქრა, მე ხაზარებმა ამაოხრა, არაბებმა „დაცვის სიგელი“ დამადებინა და დამხარკა. მე მურვან ყრუმ ამიკლო და ბულა თურქმა ამაწიოკა. მე „დიდი თურქობის“ გემო ვიგემე. მუდამ მე ვუნდოდი ათაბაქ აბუ-ბაქრს, რუქნადინს, ჯალალ ედ-დინს, ზვარაზმელებს, მონღოლებს. თემურ-ლენგმა რვაჯერ დააპირა ჩემი შესანსვლა. ოსმალებს, ირანელებს, რუსებს და სხვათა და სხვათას, მუდამ სურდა ჩემი დამორჩილება და დამონება, ჩემი დაჩაჩანაკება და გათითოკაცება...

მაგრამ, მე ყოველივე ამის მერე კვლავ მყარად ვდგავარ ფეხზე და თამამად ვაცხადებ, რომ არაფრით არ დავიხევე უკან; ქედს არავის მოუხრი და ფეხქვეშ არავის გავეგები!

ჩემზე უთქვამთ- არად მიაჩნია უბედურება თუ აქვს თავის ჭერქვეშ თავისუფლებაო. ჩემში ეს თავიდანვე დევს, კოდირებული, დასაბამიდან მომდგამს და მას ვერავინ ვერასდ-

ბაბბის და ილიას
საქართველოს სული ხაზო
ტდან ჩამოფენილი,
უტეინტეინო ქეუე ხაზო
უფალიეთი მუაჩეკელი.
თუ იყავით ქაწისა,
ახლა უქვე ხაზო ტისა,
უფლის ტეკრდით მჯდომარე
და დატეკელი ეწისა.
თანადეკეი სული ხაზო
აკაკი და ლია,
მთაწმინდის ტეიგზაქეინო
მხლოდ ალილუიას.
მხედარი ხაზო თქვენ ღეთისა
მისი ძაღლით ტებულისა,
მტეკელი საქართველოსი
წმინდანად შეჩატხულისა.
ნინელი ხუხია,
პირველი მაისის
საჯარო სკოლის
ქართული ენისა და
ლიტერატურის
მასწავლებელი.

დებით ვერ შემაცვლევინებს!
„რა ხელ-ჰყრის პატვის ნახი
ბულბული, გალიაშია დატყვე-
ვებული“-ესეც ჩემზე დაწერილა.
მე ამაცი ვარ, ძლიერი და დაუმონები.
უკან დახევა ჩემი სტიქია არ არის.
მუდამ ვიბრძვი, მუდამ მეცილებიან
და ჩემი მარწუხებში მოქცევა სურთ.
მაგრამ, რა გამოუვათ?! ჰმ! ვერ
შემღებენ ამას ვერასდროს. და, იცი,
რატომ? იცი, მე ვინ ვარ? კარგით
რა, ხალხნო, რას მეკითხებით, მე ხომ
ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ვ არ და ამით
ყველაფერი ვოქვი!!!

თ ა მ ბ ა



როგორც ვიცით, თქვენ პროფესიით ექიმი ხართ, როგორ მიიღეთ გადაწყვეტილება და რას ფიქრობთ ამ პროფესიაზე?

—მე მოვდივარ ცოტნეს გზიდან... ბავშვობიდანვე მსურდა ყველა ადამიანს დაეხმარებოდი, მათი ტკივილი მომეხსნა ამ წუთიერ სამყაროში და მთელი ჩემი არსებით შევანატროდი იმ წამს, იმ წუთს, როდესაც ჩემი ცოდნით თუნდაც ერთი ადამიანის სიკვდილს სიცოცხლით დავამარცხებდი... უდიდესი ნეტარებაა სიცოცხლის შენარჩუნება სხვათათვის... პუმანურმა ბუნებამ, ქრისტიანულმა მრწამსმა, ოჯახის წევრების დაუინებებელი თხოვნამ, სხვების დახმარების ურყევმა სურვილმა და ჩემმა ინდივიდუალურმა გადაწყვეტილებამ... მსურდა ჩემი საფუძვლიანი ცოდნით სიცოცხლე შენარჩუნებული განსაცდელსა და გაჭირვებაში მყოფთათვის... საკმაოდ რთული და საპასუხისმგებლო პროფესიაა... ზოგჯერ ერთ ფრაზასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

**მე ვიცით, რომ ფრაზის შეგრძობა თქვენში მძაფრია, როგორ შემოვიდა თქვენში სიტყვა ზოგადად და როდის შეიგრძენით, რომ რასაც ამბობდით, ზუსტად ის სათქმელი იყო, რაც გინდოდათ, რომ გეთქვათ?**

—ფრაზა მაშინ დამისხლხორცდა, როცა დედამიწას მთვარისფერი ქოლგა ეფარა, როცა სიმარტოვეზე უკრავდა უცნობ პანეს თეთრი რიბაილი, როცა პირველად მეგონა რომ თითქოს მიყვარდა...

**რა იყო ის დაფარული, რაზეც უკრავდა თეთრი რიბაილი?**

**ადამიანი სამყაროს უმთავრესი ქმნილებაა და თითოეულ მათგანს განსაკუთრებული ადგილი უკავია ამ წუთისოფელში. ყოველი მათგანი ქმნის ინდივიდს და ყველანი ერთად საზოგადოებას... რას ფიქრობს დღეს ჩვენი თანამედროვე, როგორ სუნთქავს და რა აზრებით „იბრძვის“ ცხოვრების ამ ორომტრიალში, ჩვენთვის მნიშვნელოვან საფიქრალს წარმოადგენს. სწორედ ამ თვალსაზრისით შევხვდით XXI საუკუნის ახალგაზრდა წარმომადგენელს, მრავალფეროვანი ნიჭიერებით გამორჩეულ პიროვნებას—პაპუნა შუშანიას და მივმართეთ რამდენიმე კითხვით.**

# „უდიდესი ნეტარებაა სხვათათვის სიცოცხლის შენარჩუნება“

—სიყვარული უდიდესი ნიჭია, რომელიც რჩეულთა ხვედრია, გრძნობა, რომლითაც მაცხოვარი მის მრწამსს ავრცელებდა ის, რაც მარადისობის დაუწერელი კანონია...

**გვყვარებით?**  
—უსასრულოდ და უკიდევანოდ...  
**თქვენს ლექსებში, რომელსაც კი გავეცანი, ძალიან დიდი სევდა იკითხება, რატომ განსაზღვრა ამ მოტივმა თქვენი სათქმელი?**

—თხემით ტერფამდის შეყვარებული ყმაწვილი ბიჭის უსაზღვრო ემოციებითა და ვნებებით აღსავსე პლატონისეული კრახით დასრულებული სიყვარული სევდის დასაბამი... ხოლო, ეს სიყვარული და მისგან გამოწვეული სევდა კი პოეზიის სათქმელი...

**რა არის პოეზია შენთვის?**  
—პოეზია სულის გამოძახილია მნიშვნელოვან ცხოვრებისეულ მოვლენებზე... სამოსი და საფარველია გრძნობებისა, ენაა ურთიერთობისა...

**რამდენად ახერხებ საზოგადო სათქმელის მოქცევას შენს ლექსებში?**  
—საზოგადო სათქმელმა ამიფორი-აქა სული, გული, აგნია“ და ჩემი მთავარი საფიქრალი გახდა. „წინაპართა დანატოვარი არც კი ახსოვს უმეტესობას, მხოლოდ ოცნებებში

შექმნილი რეალობა მათთვის უდიდესი ნეტარება“, ამ სატიკვარზე პატარა ესეებზე მაქვს მიძღვნილი...

„თანამედროვეობა, მოდის ერთ-ერთი მიმდინარეობაა, რომელსაც ზოგი ქართველების საზღვრების გადალახვასთან აზოგადებს, ზოგი კი უცხო ქვეყნის კულტურასთან... საამაყო გახდა სამარცხვინო, სამარცხვინო კი—საქვეყნოდ აღიარებული მოღვაწე.

შეიღობ ვაჭარი ხდება ყველაზე დეკლემოსილი პატრიოტი და ნამდვილი გულით ქართველი იძულებით ტოვებს წინაპართა მიწას...

თხემით ტერფამდე ღვთისმოსიში ხვდება ჩრდილში და სააშკარაოზე ქადაგებს ფლიდი...

**რამდენად თანამედროვე ხარ და რას ფიქრობთ იმ ცვლილებებზე, რაც დღეს ხდება ჩვენში?**

—უკვე გაგანდეთ თანამედროვეობის ჩემბური ხედავ, თუშცადა არსებობს ცვლილებები, რომლებსაც ჩვენი ქვეყნისთვის მხოლოდ და მხოლოდ კარგი მოაქვს... თანამედროვეობამ არ უნდა შეცვალოს ის ქართული ძირძველი ტრადიციები, „რასაც თვალისწინებით უფროხილდებოდნენ უწინ“, ჩვენი მრწამსი და წარმომავლობა უმთავრესია, ილიასეულმა სამ-

მა საუნჯემ უნდა მისცეს გზა და კვალი ამ კეთილისმომტან ცვლილებებს, რადგან „ხშირი ცვლილებები ხომ კიდევ უფრო აძლიერებს შეჩვეულის გადაჩვევას და სულ, წინ ახლისაკენ გაცხევს სიარულს“... მოხარული ვარ და მივესალმები დემოკრატიული ინსტიტუტის არსებობას, ახალ სასწავლო რეფორმებს, ჩვენი ღირსშესანიშნაობების გატანას საზღვრებს გარეთ, იმას, რომ ყველა გებულობს, რომ ჩვენ უძველესი ერთი ვართ და ივერთ მიწაზე „ლალე“ უძველესი დროიდან იმღერებოდა. ცივილიზაციები იქმნებოდა, ქართული მანდილის მატარებელი ცხრა ძეს ზრდიდა, ერთ თხილის გულს ცხრა ძმა იყოფდა, ერთადერთი შვილის დედა მამულის სადარაჯოზე უშვებდა ძეს, ზოგან კი მაშინ, სიბნელე, სიცარიელე იყო... მე მაინც ვისურვებდი,

თ ა მ ბ ა

ნია და ახდენს მის დამკვიდრებას მეტყველებაში... ვფიქრობ, ეს დროებითი პროცესია და თანდათან მოხდება სალიტერატურო ნორმებთან მისი სისტემატიზაცია.

**რაზე მუშაობთ ამჟამად და რა არის თქვენი ფიქრის ობიექტი?**

—თქვენ კარგად იცით, რომ რეგიონში ტარდება ახალგაზრდული ლიტერატურული კონკურსი—„ოქროს პერგამენტი—2010“, რომელიც მიზნად ისახავს ახალგაზრდობაში წიგნიერების პოპულარიზაციას და მათი შემოქმედებითი უნარის გამოვლენას. გადავწყვეტე მონაწილეობა მიმელო ამ კონკურსში და წარვადგინე ჩემი შემოქმედებიდან ზოგიერთი ნიმუში... ამჟამად მიმდინარეობს შესარჩევი ტური და უახლოეს დღეებში შედეგებს ველოდები.

**წუთისოფლის მიმართ რა დამოკიდებულება გაქვთ?**

— დაბადებიდან სიკვდილამდე პერიოდს ყველა ადამიანი ატარებს წუთისოფელში, ეს არის ამოუცნობი, უსაზღვრო, საიდუმლოებებითა და სიტყვებით მოცული, ჭირით აღსავეს და დამქანცველი, სამყაროში, სადაც შეიძლება სიტყვის თქმა ბოლომდე ვერ მოასწრო, სადაც ხარ ყველაფრის თანამეზობელი და თანაზიარი, ალბათ წამის სიახატარავემ განსაზღვრა სოფლის წუთიერება...

„მე ეხლა ვხვდები, რა პატარა ყოფილა წამი.

და მაინც, აქ დასანახი რაც იყო, ვნახე —ბეგრი რამ აკლია სულს ამ წუთისოფელში და „ეხლა მივხვდი, რომ ჯერ სადა ვარ, წუთისოფელი მაწამებს კიდევ“...

თქვენს საუბარში ვგრძნობ, რომ სასაუბრო კიდევ ბევრი გეაქვს, მაგრამ ამჯერად პირობითად შევანერებთ დიალოგს და არა ვწყვეტთ. იმედი მაქვს, რომ კიდევ შევხვდებით ერთმანეთს თქვენი საინტერესო ცხოვრების გზაზე და გაგვანდობთ სათქმელს...

მადლობთ დიალოგისთვის.

**ესაუბრა ნანა ბუჭია**

## დებიუტი ბ ბ ბ ი ს ბ ტ ო ს ს რ ი მ ლ ე ბ ი არ ვ ი ს ი დებიუტი რ ა ტ ო მ ? . .

გაზაფხული მიილია. დადგა ზაფხული. ზაფხული წელიწადის ის დროა, რომელსაც ყველა შეჰხარის. განა გასაკვირია? არა იმიტომ რომ ამ დროს ყველა ისვენებს, ბუნება სულ სხვა პეიზაჟს გვიხატავს, ყველაფერი მწვანეა და ახალგაზრდა და ამ ყველაფერთან მცხუნვარე მზე...

ყველა დრო ადამიანში რაღაცასთან ასოცირდება ზოგი სიხარულთან, ზოგიც მწუხარებასთან და სწორედ ზაფხული ჩემში ცრემლებს უკავშირდება. ზაფხულის ბოლო თვე—აგვისტო... აგვისტოს მცხუნვარე მზე ძალიან ლამაზია, მისი სილამაზე შეუდარებელია. რა ბედნიერია ის ადამიანი, რომელიც მის სილამაზეს შეწვდება, მაგრამ ამ თვემ 2008 წლის შემდეგ მწუხარება გამოიწვია. მას შემდეგ უამრავი ცრემლი დაიღვარა და ეს ცრემლი ამ თვის მოახლოებისას ორმაგდება. ისევე ძველებურად არაა ამ თვის მზე ხალიხიანი, მას ის ადამიანები ენატრება, რომელიც ამ თვეს დაიღუპნენ და რომლებიც მისი სხივების მცხუნვარებას ვერ გრძნობენ.

მთვარეც რა მოწყენილია?!

მიუხედავად იმისა, რომ ვარსკვლავებიც ბევრია და მთვარეც საესე, მასაც მზესავით რაღაც აკლია, დამწუხრებული და ნაღვლიანია. მ აგვისტოს ღამეს ალბათ, ბევრი ლოცულობს იმ ვაჟკაცებზე, რომლებიც სამშობლოს სადარაჯოზე იდგა. მთვარის სიხილოვან ვფიქრობ, 169 (169 კი არა ვინ იცის რამდენი) ვარსკვლავი უფრო მკაფიოდ ანათებს, ეს იმ თითოეული გმირის სიმბოლოა, რომლებმაც სამშობლოს შესწირეს თავი. ეს ვარსკვლავები ბრილიანტებით ანათებენ ცაზე, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ალბათ ეს მით მათდამი ლოცვა და მადლიერები არიან, რომ არ დაიღუპნენ, შესამღებელია განა მათი დავიწყება? ვფიქრობ, არა, ეს შეუძლებელია. მათი სახელები ოქროს ასოებით უნდა ამოიტვიფროს საქართველოს ისტორიის ფურცლებზე.

საქართველო თითქმის არასოდეს ყოფილა ცრემლების გარეშე, მას გამუდმებით შავები ეცვა, იმ დაუღუპელი და გაუმაძღარი მტრების გამო, რომლებიც მას დასაბამიდან აწიოკებდნენ. მაგრამ ქართველი ერი მა-

ინც არ გატყდა, არ შეეგუა სხვის თარეშს თავის მიწაზე.

რატომღაც მგონია, რომ პირველი ქართველი, როდესაც განდა, მას მახვილი ეჭირა ხელში და ის დღემდე არ გაუგვია.

ქართველს ცრემლი მგონი არასოდეს დაუშრება, მათი მთავარი დავალება, უფლისაგან დაკისრებული, ეტყობა სისხლის ბოლო წვეთამდე სამშობლოს დაცვაა.

მაშ არ ეყოფა ქართველს ამდენი ცრემლი?..

მე მწამს, საუკუნეებს მოვხრით. ისევე მოვა გაზაფხული, ზაფხული, თვე აგვისტოსი, რიცხვები ამ თვის 6,7,8... და ამ ყველაფერთან ცრემლები...

ნეტავ როდის გაანათებს საქართველოში მზე ხალისიანად და მცხუნვარედ? როდის იქნება ღამით მთვარის შუქი ისეთი, მზის სხივებს რომ ჰგავდეს???

მე მწამს, საუკუნეებს მოვხრით. რწმენა შენარჩუნებულნი, უფლის ღოცვით, ვივლით მუდამ სამშობლოზე ფიქრით, სიყვარულით, ერთად დღემით და „საქართველო გაბრწყინდება.“

**თ. ქარდავა**

ოცნების მწვერვალზე ნელა ავდივარ, რადგან ძალიან მეშინია დედამიწის. ცასთან სულ ახლოს ვარ, თითქოს ხელი სწვდება ჩემი...

დედამიწა კი დაბღვერილი მიყურებს...

მიკვირს ჩემი დარჩენის...

ისევე ოცნებებს ვეპოტინები... მიზანმა მართლაც გაამართლა რადაცით მაინც...

სულმა ცის გულისკენ მიბიძგა, იქნებ იქ მაინც არის ის, რასაც აქ ვეძებ და ვერ ვპოულობ, ჩემს ირგვლივ სიცარიელეა...

„არა სიცოცხლე, არა სიკვდილი, არამედ რაღაც სხვა“...

უნებურად მახსენდება გრანელის ეს სიტყვები და ვფიქრობ ღმერთო, გადამარჩინე, გთხოვ!

ცა ისევე ცისფერია, ზღვა ისევე ლურჯი და მზე ისევე მცხუნვარე, ის ისევე ამოვა ყოველ დღით თუ ღრუბლები აღარ არის ცაზე.

სულს მაინც ცისკენ აქვს ფიქრი, ნეტავ რა ხდება იქ? ცა კი დაგვცქერის ძველთაძველი ცა... საოცარია, არა როცა სულის ორომტრიალში ეძებ მესამე განზომილების არსებობას და უფრო საოცარია ის, რომ ის არსებობს...

ოცნების მწვერვალზე ავდივარ ნელა, რეალობასა და ფანტატიკის ბრძოლაში, ერთმანეთის ჭიდილში მაინც რეალობა იმარჯვებს, მაგრამ ცასთან სულ ახლოს ვარ, თითქოს ხელი სწვდება, დედამიწა კი დაბღვერილი თვალებით მიყურებს, არ ვიცი რატომ?

ღმერთო, გთხოვ, დედამიწა გადამარჩინე!  
**გვანცა კიკალეიშვილი**

# წმინდა მშინათა ჟამინათა ქვეშეშე

\*\*\*

როგორ შეიძლება ქრისტიანობის, მუსლიმანობის, ბუდიზმის გათანაბრება? ეს ხომ რელიგიის უცოდინრობის მანკვინებელია და ნიშნავს იმას, რომ გაცნობიერებული არა გვაქვს ცხოვრების უმთავრესი მიზანი, არ ვზრუნავთ ჩვენს უკვდავ სულზე და არ გვაწუხებს, რომ არასწორი პოზიციის გამო იგი შეიძლება საშუალოდ წარვიწყმოდოთ... მართლმადიდებელი სარწმუნოება ხერხემალია ჩვენი ეროვნული სულისა...

## ილია II, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

\*\*\*

სარწმუნოება ჭეშმარიტებაა გულისა და ორსახედ არ ჩაესახება ერთსა და იმავე გულს. როგორც ორსახე ჭეშმარიტებაა შეუძლებელი, ისეც ორსახე სარწმუნოებაც. იგი ან ერთადერთია ერთს გულში, ან სულ არ არის. სარწმუნოება, რომლის დიდი ნასკვი ადამიანის სულიერ წიაღშია, ორთავალა და ორგულა ვერ იქნება, რომ ჩვენიც იყოს და თქვენიც ერთსა და იმავე დროს. იგი ერთთავალა და ერთგულაა, - თუ ასე ითქმის, ვერც თვალს და ვერც გულს ორად ვერ გაჰყოფს, რომ ერთსაც მხედრად მართლმადიდებლად და მეორესაც, ერთსაც განუზიაროს სასოება გულისა და მეორესაც. ამიტომაც შეურყეველი ერთგულება სხვის სარწმუნოებისა საკუთარის სარწმუნოების შეწყვეტა, უარყოფაა. თავდადებულნი ერთის სარწმუნოებისათვის, მეორისათვის თავდადებულნი ვერ იქნებიან და ნამეტნავად შეურყეველ ერთგულებისანი. კაცი შეურყეველად მოსავია მართლ იმ სარწმუნოებისა, რომელსაც აღიარებს და გულში ატარებს. უამისოდ სარწმუნოება სარწმუნოება კი არ არის, სამოსელია, რომელსაც კაცი როცა უნდა, იხდის და როცა უნდა, იცვამს.

## წმიდა ილია მართალი (ჭავჭავაძე)

ნამდვილი კაცობრივობა მაშინ ვლინდება, როდესაც ცოდვისა და ჯოჯოხეთისაგან ადამიანის გამოხსნისათვის ძალისხმევას არ დავიშვრებთ. თუ ფიქრობ, რომ გიყვარს ადამიანი და ამასთან იწონებ მის ცოდვებს და ვნებებს - თავს იტყუებ: შენ ის კი არა, მისი სიკვდილი გყვარებია. მხოლოდ ქრისტეშია შესაძლებელი, გიყვარდეს მთელი სულითა და ძალით, გიყვარდეს ჭეშმარიტად...

სიძულვილის ღმერთი - ეშმაკი არ დაუშვებს, ქრისტეს წინააღმდეგ ამხედრებულმა ადამიანებმა ერთმანეთი შეიყვარონ, ისინი მხოლოდ ერთმანეთის ცილისწამებით არიან დაკავებულნი - მათ არავინ უყვართ.

## წმ. იუსტინე პოპოვიჩი

\*\*\*

ვისაც შიშისა, ხათრისა, სირცხვილისა, მოფერებისა და სხვა რომელიმე გარემოების მიხედვლობით ერიდება სარწმუნოებისათვის თავის გამოცემა, სარწმუნოების დაცვა, ვინც შესაძლოდ თვლის გაჩუბდეს, მოითმინოს, ხმა არ აღიმადლოს, იმ დროს, როდესაც მის სარწმუნოებას ამცირებენ, ლანძღავენ, შეურაცხყოფენ და გმობენ, ის უარყოფს მაცხოვარს წინაშე კაცთა“.

## საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდე (ოქროპირიძე)

\*\*\*

დღევანდელი მსოფლიო მართლმადიდებლებს სთავაზობს ეკონომიკურ უზრუნველყოფას და სანაცვლოდ, სურს, მისი შინაგანი სამყარო შეავსოს მცდარად გაგებული ჰუმანიზმით, რომელსაც მიზნად აქვს ადამიანში ღვთიური ბუნების დაკნინება. მაგრამ ქრისტე ხომ ბრძანებს: „აღვაშენო ეკლესიანი ჩემი და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდანო მას“.

## უნეტარესი საბა, ვარშავისა და სრულიად პოლონიეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მიტროპოლიტი

## ინტერნეტიდან

### კონგოს ურჩხული



ცენტრალური აფრიკის ყველაზე დიდ და წყალუხვ მდინარეში, კონგოში, ბინადრობს დაახლოებით 700 სახის თევზი. მდინარის ბინადრობა გარკვეული ნაწილი საკმაოდ საშიშ მტაცებელ თევზად ითვლება, რომელთაც შეუძლიათ ზიანი მიაყენონ არამარტო თავის მოძმეებს, არამედ ადამიანებსაც. თევზი სახელად ყდროცენუს გოლიატკ ზუსტად ასეთი სახის მტაცებელი თევზების წარმომადგენელია. ეს „მდინარის მონსტრი“ სიგრძეში ნახევარ მეტრამდე აღწევს, იწონის დაახლოებით 50 კგ და „შეიარაღებულია“ 32 ბასრი და დიდი კბილით, რომლებიც ძალიან ჰგავს ეშვებს. ეს თევზი მშვენივრად გრძობს თავს წყალში, სადაც ნადირობს შედარებით პატარა თევზებზე. საბედნიეროდ, ამ ურჩხულის რაციონში შედის მხოლოდ თევზები, მაგრამ დაფიქსირებულია ადამიანზე თავდასხმის შემთხვევებიც.

## ასჯერ წამში



ყოველ წამს დედამიწაზე საშუალოდ ასი პაკერული შეტევა ხორციელდება, ნათქვამია კომპანია Symantec-ის მოხსენებაში.

Symantec-ის მონაცემებით, დაზარალებულთა რიცხვი 7%-ით მოიმატა წინა წლებთან შედარებით. პაკერთა უმეტესი თავდასხმები უშუალოდ ან თუნდაც უწყინარია, მაგრამ ყოველ 4.5 წამში სერიოზული დაზიანება ხდება. გასულ წელს ivyntw-ის ექსპერტებმა 2.9 მლნ ვირუსი დაარეგისტრირეს.

კომპიუტერული დანაშაულის სწრაფი ზრდა გამოიწვია ფართოდ გავრცელებულმა უბრალო პროგრამებმა, რომლებსაც საშუალებითაც ნებისმიერ დამწყებ პაკერსაც კი შეუძლია შექმნას ვირუსი, განაცხადა Symantec-ის ექსპერტმა ტონი ოსბორნმა.

ზოგიერთი მათგანი ხელმისაწვდომია სრულიად უფასოდ ინტერნეტში, ზოგსაც გარკვეული თანხის გადახდის

შემდეგ ჩაივდება ხელში. მაგალითად, ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული, ძეუს, შეუძლიათ შეიძინონ 700 დოლარად. გავრცელება ხმები, რომ შემქმნელები კლიენტებს სატელეფონო კონსულტაციებსაც კი სთავაზობენ.

Ivyntw-ის მონაცემებით, 2009 წელს გაიყვანა დაახლოებით 90.000 ძეუსის პაკეტი, რომლებსაც საშუალებითაც შეიქმნა სერიოზული ზიანის მიმყენებელი ვირუსები.

ძეუსი სამ-შეტყობინებების დახმარებით იტყუებს ხალხს საიტებზე, სადაც მოტყუებით აიძულებენ დააყენონ საზიანო კოდები ან აღწევენ კომპიუტერში სუსტი ადგილების ცოდინი.

სულ უფრო და უფრო ხშირად გამოითქმის აზრი, რომ კომპიუტერული დანაშაულები ქმნიან ბოტ-ქსელს „ზომბი-კომპიუტერებისგან“, რომელთა მართვა შესაძლებელია დისტანციურად. როგორც შემანტეცის ექსპერტები ამტკიცებენ, გასულ წელს თითქმის 7 მილიონი კომპიუტერი ჩაითრიეს ბოტ-ქსელებში.

პერსონალური კომპიუტერებიდან ინფორმაციის მოპარვა ბევრი ადამიანის ყოველდღიური საქმიანობა გახდა, ამტკიცებს ტონი ოსბორნი.

კომპიუტერული დანაშაული შეეხო განვითარებად ქვეყნებსაც, განსაკუთრებით ბრაზილიას და ინდოეთს, სადაც უფრო და უფრო მეტი ადამიანი იყენებს ინტერნეტს ყოველდღიური საქმიანობისთვის.

## მეცნიერებმა აღმოაჩინეს კინალტის გატანის საუკეთესო საშუალება

ერთ-ერთი ბრიტანული უნივერსიტეტის ფსიქოლოგები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ფეხბურთელმა, რომელიც ასრულებს თერთმეტმეტრიან დარტყმას, კონცენტრაცია უნდა მოახდინოს იმაზე, თუ საით აპირებს ბურთის გაგზავნას და თუ შესძლებს ყურადღება არ მიაქციოს მეკარეს.



კვლევაში მონაწილეობდა 18 სტუდენტი-მოსწავლისე. კვლევა ჩატარდა სენსორების გამოყენებით, რომლებიც აღნიშნავენ ფეხბურთელების მზერის მიმართულებას დარტყმის წინ.


კვლევითი ჯგუფის ხელმძღვანელის გრეგ ვულის (გრეგ ვოლ) თქმით, ხალხი აქცენტს აკეთებს იმაზე, რაც მათთვის საშიშროებას წარმოადგენს. პენალტის დარტყმის დროს ერთადერთ საფრთხეს წარმოადგენს მეკარე, ამიტომაც ფეხბურთელები აკვირდებიან მეკარეებს და ხშირად ცდილობენ გამოიცილონ მეკარის მოძრაობები.

გრეგ ვულის აზრით, პენალტის შემსრულებელმა უნდა დააიგნოს მეკარე და მთელი ყურადღება დარტყმის კარგად შესრულებაზე უნდა გადაიტანოს.

მეცნიერებმა აღნიშნეს, რომ მეკარეები ხშირად იღებენ პენალტს, როდესაც დარტყმის წინ ცდილობენ ფეხბურთელის ყურადღებას მიქცევას.

## ნაკო ლომაია

სსოპნა



კიდევ ერთხელ ჩამოუქროლა სიკვდილმა თქვენს მშვენიერ კარ-მიდამოს, ისევე „რმისფერი ბურუსი“ ჩამოწვა, ისევე გლოვის ზარმა ჩამოკრა, თქვენს ოჯახში.

14 წელია ამ დღის დადგომას ნატრობდი და აპა! ავისრულდა ოცნება. გელასთან ყოფნას ჩქარობდი და წუთისოფლის ავან-ჩავანი არაფრად გიღივდა.

ქალბატონი ნათელა და შვილიშვილი გიორგი ყველაფერს აკეთებდნენ, რომ შენ მშვიდად ყოფილიყავი, მაგრამ სულის სიმძიმე და გულის ტკივილი ვერანაირმა დრომ და სითბომ ვერ განკურნა.

შენს პორტრეტს არანაირი შტრიხის შელამაზება არ ჭირდება, ნაკო! ქ. თბილისის პოლიტექნიკური უნივერსიტეტის კურსდამთავრებული მაღალი რანგის მშენებელი ინჟინერი იყავი, გონიერი, ბრძენი, ნიჭიერი, ჭკუის საკითხავი კაცი.

ჯერ ქალაქ ფოთის, შემდეგ კი ქალაქ გაგრის აღმშენებლობის საქმეში დიდი წვლილი მიგიძღვის, გაგრის დასახლებული სახლების თუ სანატორიუმების მშენებლობაში აქტიურად მონაწილეობდი. აფხაზეთი შენი დიდი სატკივარი იყო, ჭაბუკობის წლები იქ გაატარე, გაგრაში სამუშაო პროცესის დროს მარცხენა ხელის მტკიანი დაკარგვა და შემდეგ მარჯვენა ხელით აპროექტე და აშენე.

ხოხის სააროქეტო სახარჯთაღრიცხვო საწარმოს უფროსად თუ ხეთის ცენტრის მეთვრამეტეების და ხობის მატერიალურ-ტექნიკური მობარაგების ბაზის მთავარ ინჟინრად შენი მუშაობის პერიოდში დიდი სახელი და აღიარება მოიპოვე, ყველგან, სადაც კი გიმუშავნია, შენი ნი-

ჭი და განსწავლულობა მთელი სიცხადით გამოჩნდა. წარმატებული და მაღალკვალიფიკაციური ინჟინერი ყველას პატივისცემას იმსახურებდა.

ოჯახიც, შენ და ქალბატონმა ნათელამ საკუთარი შრომით მოაწვეეთ, ცხოვრებასაც შნო და ლაზათი ქონდა, „მაგრამ ხანგრძლივ ეს სოფელი, გაახარებს ვისმე განა?“

შენი ერთადერთი ვაჟიშვილი ავტოკატასტროფამ იმსხვერპლა და სიცოცხლის ბოლომდე მოურჩენელი გულის ტკივილით იცხოვრე.

ქალბატონი ნათელა, ტრაგედია-გადატანილი დედა, რომელსაც თვითონ ჭირდებოდა ნუგეში, შენ განუგეშებდა.

გელა ახლა 40 წლის იქნებოდა, ნაკო! შენ იქ არაფერი გაგიჭირდება. უფალს ვთხოვ, სულის სიმშვიდე მოიპოვო.

ნათელი დაგადგეთ ორივე მამა-შვილს.

მენატრებით, მიყვარხართ!

ლალი ლატარია

## კახა შალიკოს ძე ახალაია



ნება, მეგობარი დაეკარგე ოჯახს, ნათესავებს, გული დაგვწყვიტე თანაკლასელებს... გულკეთილ ბიჭს გულმა გიღალატა, არ დაგინდო... არადა შენს გულში მთელი საქართველო ეტეოდა.

სიტყვაძმუნე იყავი კახა, მორიდებული-შენი ტკივილით და გასაჭირით სხვა არ შეაწუხებ-ნეტავი გეთქვა, ნეტავი გეწუწუნა... სხვისი გავიწყების გულთან მიტანა იცოდი... შენ სიკვდილს არ აპირებდი... სკოლის დამთავრების 30 წლის იუბილეს ხომ გაისად ვაპირებდით...

როგორ გამაწვარე შენი და-მამა, რომლებსაც სთავადაც დედაც იყავი და მამაც-შენ ხომ ტრადიცია გააგრძელებ და მამისეულ სახლში კერა არ ჩააქრე. დაგვაკლდები კახა, როგორც სამედიკო კაცი, ერთგული მეგობარი... დაე, ღმერთმა გაგინათოს სამოთხის კარები და წმინდა სანთლებმა დაგიმკვიდროს საუკუნო სასუფეველი. ვლოცულობთ შენი სულისთვის.

## ჯაკიშაძის საჯარო სკოლის 1981-82 წლის კურსდამთავრებულები.

ხოხის მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგეობა იუწყებიან, რომ გარდაიცვალა დამსახურებული პედაგოგი **ოთარ სახეიშვილი** და თანაუგრძნობენ მის ოჯახსა და ახლობლებს.

ხოხის მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგეობა თანაუგრძნობს წვეკამდელთა და რეზერვისტთა აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის უფროსს ზაზა კუპრეიშვილს და ნინო ქარჩავას დედისა და სიდედრის **ციცო ბიგავას** გარდაცვალების გამო

გაზეთ „ხოხის მოამბე-ს“ თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა დამსახურებული პედაგოგი, გაზეთის აქტიური მტატგარეშე თანამშრომელი, პატიოსნებით გასწივოსნებული პიროვნება **ოთარ სახეიშვილი** და თანაუგრძნობენ მის ოჯახსა და ახლობლებს.

ორმა, იავო, მინდია კილასონიები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა **კახა ახალაია** და თანაუგრძნობენ მარიზა გოროხიანს, მაკა, ბექა ახალაიებს მეუღლისა და მამის გარდაცვალების გამო.



## ოთხთა ტურნირი

სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური ფეხბურთის ფედერაცია 17 წლამდელთა ოთხთა ტურნირს ატარებს. შეჯიბრებაში მონაწილეობას ღებულობენ ზუგდიდის „ბაიას“, აბაშის „აისბერგის“, სენაკის „ეგრისისა“ და ხობის „იმედის“ გუნდები.

25-26 ოქტომბერს ტურნირი აბაშაში ჩატარდა, რომელიც აბაშის ვეტერანი ფეხბურთელის რეზო დვალის ხსოვნას მიეძღვნა.

ხობის „იმედის“ ფეხბურთელთა გუნდმა ნახევარფინალში 6:3 დაამარცხა ზუგდიდის „ბაია“.



ფინალში ხობელები შეხვდნენ სენაკის გუნდს, დაძაბული მატჩი სენაკელთა გამარჯვებით 3:2 დამთავრდა.

ამის შემდეგ ოთხთა ტურნირს უკვე სენაკმა უმასპინძლა, რომელიც სენაკელი ვეტერანი ფეხბურთელის ემილ ყურაშვილის ხსოვნას მიეძღვნა. ხობელებმა ნახევარფინალში 2:0 დაამარცხეს აბაშის „აისბერგი“. ფინალში მათ ისევ სენაკის „აისბერგთან“ მოუწიათ თამაში. მატჩის ძირითადი დრო ფრედ 1:1 დამთავრდა. პენალტების სერიაში ხობელი ფეხბურთელები უძლიერესები აღმოჩნდნენ და მეტოქე ანგარიშით 2:0 დაამარცხეს. (აღსანიშნავია, რომ ხობელთა მეკარემ გულად ქანთარიაძე 4 პენალტი მოიგერია).

ამრიგად, ემილ ყურაშვილის სახელობის თასითა და მედლებით დაჯილდოვდა ხობის „იმედის“ ფეხბურთელთა გუნდი (მწვრთნელი რევაზ ქაშიბაძე).

მომდევნო ოთხთა ტურნირი 8-9 ნოემბერს გაიმართება ხობში, რომელიც ფეხბურთის დიდ სპეციალისტსა და საყვარელი პიროვნების პაატა თათარიშვილის ხსოვნას მიეძღვნება.

## ტურნირი კარატე-დოში

31 ოქტომბერს ქ. ხობის №1 საჯარო სკოლის სპორტდარბაზში ჩატარდა ხობის IV ტრადიციული ტურნირი კარატე-დოში. შეჯიბრებაში მონაწილეობას ღებულობდნენ ზესტაფონის, ლანჩხუთის, ფოთის, ჩხოროწყუს, სენაკისა და ხობის მუნიციპალიტეტის ნორჩი და ახალგაზრდა კარატისტები.

შეჯიბრება ჩატარდა, როგორც ჭაბუკებში, ასევე გოგონებში. ასაკობრივ ჯგუფებში ჩემპიონები და პრიზიორები გახლნენ:

- ჭაბუკები:**
- 5-6 წლიანები**
- I-ქირია მურადი (ხობი)
  - II-გაბისონია გეგა (ხობი)
  - III-ქირია ივანე (ხობი)
- 7-8 წლიანები**
- I-სამხარაძე ტატო (ზესტაფონი)
  - II-ჩხაიძე გიორგი (ლანჩხუთი)
  - III-ჩხეიძე გიორგი (ხობი)
  - III-ცაავა საბა (ფოთი)
- 9-10 წლიანები**
- I-კობაძე ამიკო (ფოთი)
  - II-ივანიშვილი გუგა (ლანჩხუთი)
  - III-გოგაძე საბა (ლანჩხუთი)
- 11-12 წლიანები**
- I-ვილოსანი დათო (ლანჩხუთი)
  - II-კეჭაზმაძე გიორგი (ლანჩხუთი)
  - III-ლომინაშვილი ნიკა (ზესტაფონი)
- 13-14 წლიანები**
- I-ჩხეიძე ნიკა (ლანჩხუთი)
  - II-კორტავე გოგა (ხობი)
  - III-კარტოზია გიორგი (ზესტაფონი)
- 15-16 წლიანები**
- I-თოძე კახა (ფოთი)
  - II-ლაგვილავა გიორგი (ხობი)
  - III-ბარამიძე გოგა (ლანჩხუთი)

- კატა**
- ჭაბუკები:**
- 10 წლიანები**
- I-ცაავა საბა (ფოთი)
  - II-კობაძე ამიკო (ფოთი)
  - III-გაბეჩავა ბესარიონი (ხობი)
- 13 წლიანები**
- I-ცინცაძე თორნიკე (ლანჩხუთი)
  - II-ვილოსანი დათო (ლანჩხუთი)
  - III-სორდია კაკო (ზესტაფონი)
- გოგონები:**
- 13 წლიანები**
- I-ჯაკობია ანა (ჩხოროწყუ)
  - II-ლომაია ვერიკო (ფოთი)
- კუმიტე**
- გოგონები:**
- 8-10 წლიანები**
- I-ლომაია ვერიკო (ფოთი)
  - II-გაბრავა ცირა (ხობი)
  - III-ჯაკობია ანა (ჩხოროწყუ)
- 13 წლიანები**
- I-ჭუმბერიძე ოლიკო (ზესტაფონი)
  - II-ცეცხლაძე თამუნა (ლანჩხუთი)
- გამარჯვებულები და პრიზიორები ფასიანი საჩუქრებითა და დიპლომებით დაჯილდოვდნენ.
- ტურნირის ორგანიზება გაუკეთა საქართველოს აღმოსავლურ ხელისუფლებათა კონფედერაციამ (პრეზიდენტი კახა ბასილია), სამეგრელოს რეგიონის კურატორმა ბატონმა ბაჩუკ სულამანიძემ, ხობელ კარატისტთა მწვრთნელმა ლაშა ჯეჯეიამ, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის, კულტურის, განათლების, სპორტის, ძველთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურმა (უფროსი ჯულიეტა ქვაჩია).

ლევან ლომონჯავა

## მართლსაჯუბი

### ჩემი წულაიას!



ტყუპებით, უფალი ფარავს შენი ცხოვრების გზას.

გლოტაკო ამ ქვეყნად მოვლენას. ფეხბურთის იყავი, ჩემი მეტოქეების-ჩემი წულაიას და ნონა აღსანიას პირველი შეიღიშეღიშე, ტყუპებით, უფალი ფარავს შენი ცხოვრების გზას.

გაზეთი „ხობის მოამბის“ თანაშემწეები.

### საბა ტყინიას!



ჩემი ბაჭაჩა, გლოტაკო დაბადების დღეს. ჯანმთელო, მხარული და ბედნიერი იყავი. შენი მშობლების, ბებების და ბაბუების გული მუდამ ტარებდნენ! ძალიან ტყუპუნაა!

ნათია და გოგა.

## ბავშვები

### პითხოვთ

### თანადგომას

სოფელ ხეთაში 2010 წლის 12-22 სექტემბერს ჩატარდა სოფლის შიდა ჩემპიონატი სპორტის ერთ-ერთ სახეობაში-ფრენბურთში, გამორჩენილი ფრენბურთის სპეციალისტის, საქართველოსა და აფხაზეთის ნაკრებების მრავალი წევრის აღმზრდელის, აწვანსკენებული გული ხურცილაკას სახელობის პრიზზე.

ამ ჩემპიონატში წრიული სისტემით მონაწილეობა სოფლის ხეთის უბნის რვა გუნდმა მიიღო.

საპატიო პირველი ადგილი დაიკავა „ოზვა-მეკარის“ ფრენბურთელთა გუნდმა, რომელსაც გული ხურცილაკას სახელობის გარდამავალი თასი გადაეცა, ის მისმა შვილმა მამუკა ხურცილაკამ დააწვსა. მეორე საპატიო ადგილი დაიკავა „ბაკკალაის“

ფრენბურთელთა გუნდმა, რომელსაც სოფლის რწმუნებულის მიერ დაწესებული პრიზი გადაეცა. მესამე ადგილი, წინაგოლის უბნის ფრენბურთელთა გუნდმა დაიკავა, მათაც შესაბამისი პრიზი გადაეცათ.

ასეთი ტურნირების ჩატარება ხელს უწყობს ამ შესანიშნავი სპორტის სახეობის პროპაგანდას და სოფლის ახალგაზრდობაში ჯანსაღი სულის შენარჩუნებას.

ჩვენი სურვილია, ეს ტურნირი შევიდეს რაიონში ჩასატარებელ ტურნირთა სიაში, რაშიც რაიონის ხელმძღვანელობას და სპორტის განყოფილებას დახმარებას ვთხოვთ.

**ბორჯა შანავა,**  
გამგებლის რწმუნებული  
სოფელ ხეთაში.

## განცხადება

### სკოლების საყურადღებოდ!

გაზეთი „ხობის მოამბე“ ვარდების რეკლამის დღესთან დაკავშირებით აცხადებს კონკურსს-„საუკეთესო კედლის გაზეთი“.

ყოველი გადაწყვეტილებით, კონკურსში გამარჯვებული სკოლა დაჯილდოვდება „ხობის მოამბის“ ნახევარწლიური გამოწვევით, საუკეთესო პუბლიკაციის ავტორს გაზეთ „ხობის მოამბე“ გამოეწვევა 1 წლით.

რაიონის ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა კავშირის გამგეობა მოგმართავთ თხოვნით რაიონის წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, ქველმოქმედებსა და ბიზნესმენებს, რათა ხანდაზმულ უძველეს მდგომარეობაში მყოფ, მწიკრივ, ინვალიდ ომის ვეტერანებს გაუწიონ მატერიალური დახმარება, ამით თქვენ ომის ვეტერანებს სიცოცხლეს გაუხანგრძლივებთ.

ვეტერანები იმედის თვალთ შემოგვურებენ.

**ჩვენი ანგარიშია: 33050002; კოდი: 244619543;**



**მიშიკო იოსავას სახელობის ტურნირი**

2010 წლის 18-23 ნოემბერს ბილიარდის კლუბ „ბასაში“ ტარდება მიხეილ (მიშიკო) იოსავას სახელობის ტურნირი. მონაწილეობის მიღების მსურველებს შეუძლიათ ჩაეწიონ. მისამართი ხობი კინოთეატრ „თუთარჩელას“-შენობა. კლუბ „ბასას“-ხელმძღვანელობა.

**გამთინვრეთ  
გაზეთი!**

**წლით მხოლოდ 24  
ლარად!**

**დამფუძნებელი: ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო. გამომცემელი შპს „ხობის მოამბე“**

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი **ნატო ლომია**

რედაქტორი **მანანა შულაია**

ნომრის მორიგე **ნანა კემულარია**

პასუხისმგებელი მდივანი **მერი ლაგვილავა**

დამკაბადონებელი **ჯულიეტა ლატარია**

მის: ხობი, სტალინის ქუჩა №1  
ტელ: 8 (214) 2-21-13; 2-25-81; 855-119-900

გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა შპს „ხობის მოამბე“-ში.

დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“.

თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.

**გაზეთი ხელმძღვანელობს თანხისუფალი პრესის პრინციპებით**